# ალია

N183/3113/ 12-15 დეკემბერი 2014 წ | ფასი 1 ლარი

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან


„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## ჯარში სამსახური ქალებისთვისაც სავალდებულო გახდება?

## რას ლაპარაკობენ კულუარებში ივანიშვილის „კახურ კლანთან“ დამოკიდებულებაზე

ვისი კადრები არიან გომელაური, თალაკვაძე და მღებრიშვილი?





## რა შუაშია ბიძინა ივანიშვილი ფსიქიატრიულთან დაწყებულ მშენებლობასთან?



პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე:

„როგორც კი ამ საკითხებზე კონკრეტულ დოკუმენტს მოვიძიებთ, ჩვენ აუცილებლად გამხელთ ხელისუფლებას“



## სამინისტრო პედაგოგებს გროშებს ამადლის, 53 მაღალჩინოსანზე კი 89 736 ლარი პრემია გამოწერეს



## კორუფციული გარიგებები ნარმანიასაც დაუწყია?



## რატომ იმატა „წითელას“ შემთხვევებმა?



## რა შეიცვალა თეა წულუკიანის „დრაკონულ“ იარაღის კანონში

„ალიას“ და იურიდიული კომიტეტის ერთობლივი მცდელობით

## საქართველო ავტომობილების წარმოებას იწყებს!



## თავდაცვის კომიტეტმა ცენტრალურ აფრიკაში ქართველი სამხედროების ყოფნას მხარი დაუჭირა



თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტის მიმართვას, რომელიც ცენტრალურ აფრიკაში საქართველოს შეიარაღებული ძალების გაგზავნას შეეხება.

ბრძანების მიხედვით, ორ ოცეულს მისიაში ყოფნის ვადა სამი თვით უგრძელდება.

„საქართველო რიგით მეორე კონტრიბუტორია სამხედრო ძალების რაოდენობით. ჩვენი ჯარისკაცები საკმაოდ კარგად მსახურობენ და მისიის ხელმძღვანელობამ, საფრანგეთის სახით და ევროკავშირმა მოგვმართა თხოვნით, რომ ცენტრალურ აფრიკაში ჯარისკაცების მისია გაგრძელდეს. ცენტრალურ აფრიკაში ადგილობრივი მოსახლეობა ქართველი ჯარისკაცების მიმართ კარგად არის განწყობილი. ჩვენი სამხედროების ვალდებულება, ქალაქ ბანგის აეროპორტის დაცვა და პატრულირება იქნება. საქართველოს ბიუჯეტიდან მხოლოდ ჯარისკაცების ხელფასები ანაზღაურდება, ყველა სხვა საკითხს თავის თავზე ევროკავშირი იღებს“, – განაცხადა ირინა იმერლიშვილმა. (ნიუპოსტი)

## ახვლედიანის ქუჩაზე სარეკლამო მონიტორს ცეცხლი გაუჩნდა




თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე სარეკლამო მონიტორს ცეცხლი გაუჩნდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. რა გახდა ცეცხლის გაჩენის მიზეზი, ამ დროისთვის უცნობია, თუმცა, ერთ-ერთ ვერსიად მოკლე ჩართვა სახელდება. (ინტერპრესნიუსი)



## პარლამენტმა ცესკოს წევრობის კანდიდატურები ჩააგდო

პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე ლევან ტურაშვილისა და ზურაბ ხრიკაძის კანდიდატურები ჩააგდო.

ტურაშვილს კენჭისყრაზე მხოლოდ 37-მა დეპუტატმა მისცა ხმა, ერთი წინააღმდეგი იყო. რაც შეეხება ზურაბ ხრიკაძეს, მან კენჭისყრაზე 38 ხმა მიიღო. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთის საგარეო უწყება საქართველოს ნატოსკენ სწრაფვას აპროტესტებს



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჟენევაში გამართული მოლაპარაკებების მორიგ რაუნდთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ჟენევის მოლაპარაკებებზე, რუსულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავის მზაობა, იყოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტი. ასევე, აღნიშნული იქნა, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების დაუოკებელი სურვილის ფონზე, უელსის სამიტზე თბილისისთვის გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტის გადაცემა, საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსების გეგმები და საქართველოსთვის დასავლეთის ქვეყნების მხრიდან იარაღის მიწოდებაზე განახლებული მოლაპარაკებები, ამიერკავკასიაში უსაფრთხოების საკითხებს განსაკუთრებულ აქტუალურობას სძენს“. – ნათქვამია განცხადებაში და აქვე იმაზეც არის საუბარი, რომ სწორედ ამ ფონზე რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება აფხაზეთის უსაფრთხოებას ისახავს მიზნად. (ნიუპოსტი)

## „მივმართავ ხელისუფლებას, გამოფხიზლდით“

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივნის, გიგლა ბარამიძის განცხადებით, ნინო ბურჯანაძის ინიციატივა, რომ ხელისუფლებამ რუსეთსა და თურქეთს საქართველოს ტერიტორიის გავლით გაზსადენის გაყვანა უნდა შესთავაზოს, საკმაოდ პრაგმატულია.

„როგორც იცით, „სამხრეთის ნაკადის“ პროექტი შეიცვალა. რუსეთიდან მომავალი გაზსადენის თავის ტერიტორიაზე გატარებაზე ბულგარეთმა უარი თქვა. ამის შემდეგ პროექტი შეიცვალა და დღის წესრიგში ახალი მიმართულების მშენებლობა დადგა. საკითხი თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე გადაწყდა კიდეც. აქ ძალიან საინტერესო იყო ჩვენი ინიციატივა, რომ მსგავსი პროექტის განხორციელება საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით ყოფილიყო შესაძლებელი და არა შავი ზღვის გავლით. ძნელია ამ პროექტზე წინასწარ ისაუბრო, მაგრამ საკითხის დაყენება მნიშვნელოვანია. ასეთი ტიპის პროექტები თუნდაც დიპლომატიური ურთიერთობები არმქონე და საომარ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დარეგულირების დაწყებას გარკვეულწილად ხელს უწყობს. ამდენად მისი უმაღლეს დონეზე განხილვა, ვფიქრობ, აუცილებელი იქნება. საოცარია ამ საკითხზე ჩვენი ხელისუფლების სრული დუმილი. ისინი ხელფასებისა და პრემიების დარგების გარდა, ყველა საკითხზე დუმან“, – განაცხადა ბარამიძემ.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებას კოლონიური აზროვნება დასჩემდა და ის თითქმის არასამთავრობო ორგანიზაციად არის ქცეული, რომელიც რეკომენდაციებიდან რეკომენდაციებამდე ცხოვრობს. ბარამიძის განმარტებით, თურქეთი რუსეთს უკრაინის საკითხში არ ეთანხმება, დაპირისპირებაა სირიასთან მიმართებაშიც, მაგრამ როგორც კი დღის წესრიგში ქვეყნისთვის საინტერესო პოლიტიკური საკითხი დადგა, თურქეთი ამ პროექტს მაშინვე ჩაეჭიდა.

„ძლიერი ქვეყნებიც კი ნებისმიერ პრობლემატურ საკითხს ეროვნული, სახელმწიფო ინტერესებისთვის იყენებენ. მე მინდა მივმართო ჩვენს ხელისუფლებას – იქნებ ახლა მაინც გამოფხიზლდეთ. ჩვენ ჩვენს ქვეყანას გეოპოლიტიკური სტრატეგიული მნიშვნელობა დავუკარგეთ. რატომ გვგონია, რომ ყოველთვის მთხოვნელის პოზიციაში უნდა ვიყოთ. მე ვფიქრობ, ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და არა ვინმეს საფეოდალო, ან საგრაფო“, – აღნიშნა ბარამიძემ. (ინტერპრესნიუსი)



## ნიკოლოზ ყაველაშვილს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მხარი დაუჭირა




ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობაზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილ ნიკოლოზ ყაველაშვილის კანდიდატურას პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მხარი დაუჭირა.

6 მომხრე, 1 წინააღმდეგი – ასეთი იყო კომიტეტის სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგი. გარდა კომიტეტისა, ნიკოლოზ ყაველაშვილს ზეპირსიტყვიერად მხარდაჭერა ფრაქციებმაც გამოუცხადეს.

კომიტეტის სხდომაზე დეპუტატები ლარის გაცვლითი კურსის გაუარესებასთან დაკავშირებით ყაველაშვილის პოზიციით დაინტერესდნენ. ლარის „ვარდნის“ მიზეზებს შორის ყაველაშვილმა სავაჭრო დეფიციტი, ვალუტის შემოსვლის პრობლემა დაასახელა და როგორც განაცხადა, ამას ეროვნული ბანკი მარტო ვერასდროს გააკონტროლებს. ყაველაშვილის თქმით, ეს მთლიანად ეკონომიკის პრობლემაა. (ინტერპრესნიუსი)

## მაუწყებლებს კომერციული რეკლამის განთავსებაზე შესაძლოა, ახალი შეზღუდვები დაუწესდეთ



სატელევიზიო ეთერში სარეკლამო ჭრების დროითი მოცულობა შესაძლოა, შეიზღუდოს და კანონის საფუძველზე შემცირდეს. იგეგმება საათობრივი ლიმიტირება.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელის ვახტანგ აბაშიძის განმარტებით, სადღეისოდ, თითოეულ მაუწყებელში სარეკლამო ბაზრის მოცულობა არის მაუწყებლობის 20%-ის ოდენობით, რაც, თავის მხრივ, საათობრივი ზღვარით შემოფარგლული არ არის. აბაშიძის განმარტებით, ასეთ პირობებში არის შემთხვევები, როდესაც ე.წ. პრაიმტაიმში – საღამოს საათებში სარეკლამო და მასთან ერთად სპონსორობის ბლოკი 32 წუთს შეადგენს.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შეფასებით, ამ შემთხვევაში გარკვეული პრობლემები თავად რეკლამის განმთავსებლისთვის იქმნება, რადგან რეკლამა თავის ეფექტს კარგავს. კერძოდ, როგორც ვახტანგ აბაშიძე განმარტავს, ანალიზი ცხადყოფს, რომ სარეკლამო ბლოკის ყოველი მესამე წუთის შემდეგ, რეკლამა მაყურებელთა მესამედს კარგავს. გარდა ამისა, აბაშიძის თქმით, მნიშვნელოვანია, თავად მაყურებლის ინტერესის გათვალისწინებაც.

კანონში დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, 2015 წელს სარეკლამო ჭრა (სარეკლამო და სასპონსორო ბლოკი) იქნება არაუმეტესს 15 წუთი ერთი საათის განმავლობაში, რაც ერთ საათში ერთჯერადად არ განთავსდება და სამ-ოთხჯერ „გაიჭრება“. ვახტანგ აბაშიძის თქმით, 2016 წლიდან 12-წუთიანი სარეკლამო ბლოკი იქნება, ხოლო 2017 წლიდან გათვალისწინებულია დამატებითი რეგულაციები. (ინტერპრესნიუსი)

## „ჯორჯიან ეარვეისი“ თბილისი-მოსკოვის მიმართულებით ფრენებს აღადგენს




საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარის, ხომალდის მეთაურ დავით მიკუჩაძის განცხადებით, კომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ 12 დეკემბრიდან თბილისი-მოსკოვის მიმართულებით ფრენებს აღადგენს.

როგორც მიკუჩაძე აღნიშნავს, საქართველოს მთავრობასთან საინიციატივო ჯგუფის კონსულტაციები გაიმართა, რის შემდეგაც გაფიცულმა თანამშრომლებმა მიიღეს პირობა, რომ მათ მიერ წაყენებული მოთხოვნები განიხილება და გადაწყდება.

„საინიციატივო ჯგუფი დანაპირების შესრულებას ორშაბათიდან ეტაპობრივად ელოდება, მანამდე აქციებს ვწყვეტთ, თუმცა, თუ ორშაბათიდან არ დაიწყება ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ვიტოვებთ უფლებას, გავაგრძელოთ მასშტაბური აქციები“, – აცხადებს მიკუჩაძე. (ფრონტნიუსი)

## დედოფლისწყაროში 45 წლის მამაკაცმა თავი მოიკლა



დედოფლისწყაროში 45 წლის მამაკაცი მეგობრებმა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევა 9 დეკემბერს მოხდა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა თავი თოფით მოიკლა. მამაკაცი დედოფლისწყაროში დედის სანახავად იყო ჩასული.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

# რას ლაპარაკობენ კულუარებში ივანიშვილის „კახურ კლანთან“ დამოკიდებულებაზე

## ვისი კადრები არიან გომელაური, თალაკვაძე და მღებრიშვილი?

**რა გზა გამოიარეს შს მინისტრის მოადგილეობამდე თეიმურაზ მღებრიშვილმა და არჩილ თალაკვაძემ? ვინ ვისი კანდიდატურაა და რატომ არის მითი „კახური კლანი“? ვის ლობირებდნენ თანამდებობიდან წასული ძმები ჩხენკელები?**

მოდით, დავინტერესდეთ ჯერ იმ ფიგურების წარმომავლობით, რომლებიც ირაკლი ღარიბაშვილმა შემოიყვანა პოლიტიკურ დაფაზე:

ზვიად ჯანყარაშვილი – მისი სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილი. ამ პიროვნების შესახებ ჯერ კიდევ 2014 წლის 11 ოქტომბრის „ალიაში“ ვწერდი და შეგახსენებთ: სანამ ის „ქართული ოცნების“ რიგებში გამოჩნდებოდა, ანუ სიღნაღის რაიონში 2012 წლის არჩევნების დროს შტაბის უფროსად დაინიშნებოდა, მუშაობდა ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ჯგუფში“. კულუარული ინფორმაციით, ივანიშვილის სამსახურში ღარიბაშვილამდე ჯანყარაშვილი ჩადგა და როგორც კარგმა მენეჯერმა, ნდობაც მალე მოიპოვა. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ დღევანდელი პრემიერ-მინისტრი თავის დროზე ივანიშვილთან სწორედ ზვიად ჯანყარაშვილის მხრიდან მოხვდა. იმაზე ლაპარაკი, რომ ამ პიროვნებას ივანიშვილი არ იცნობს და თავის დროზე ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის უფროსად შეუთანხმებლად დანიშნა, ცოტა არასერიოზულია – ეს ფიგურა ამ თანამდებობაზე მათი ერთობლივი სურვილით მოხვდა და მეტიც, როდესაც ის პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად გაამწესეს, ივანიშვილმა ორივე ხელი ასწია თანხმობის ნიშნად. მაშინ ირაკლი ღარიბაშვილს გულწრფელად სურდა, „ქართულ ოცნებაში“ სერიოზული რეფორმა ჩაეტარებინა და პარტია გაეძლიერებინა, მაგრამ როგორც ავი ენები ამბობენ, ჯანყარაშვილმა თავის ძმაკაცებთან ერთად ბიზნესის შევიწროება და ტენდერებში ხელების ფათური დაიწყო.



სხვათა შორის, დღეს ყველას ავიწყდება, როგორი მწვავე რეაქცია ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, როცა უსაყვედურეს, მთავრობაში ნეპოტიზმი იწყებაო. მისი პასუხი ასეთი გახლდათ: „საქართველო პატარაა, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ვისაც ვენდობით და ვისთანაც ვმეგობრობთ, თანამდებობებზე სწორედ ისინი უნდა დავნიშნოთ“. ეს იყო მწვანე შუქი... ყოველ შემთხვევაში, ბევრმა ასე ჩათვალა, მაგრამ გავიდა დრო და ის დაარწმუნეს, რომ მეგობრებს ფინანსებზე ხელი წაუცდათ. საერთოდ, ივანიშვილს ის კი არ აცოფებს, ირაკლი ღარიბაშვილი ვის სად დანიშნავს, ან ვის ნათესავს დანიშნავს, არამედ ის, ვის და რატომ გაეპარა თვალი ფულისკენ. მისი პრინციპი ასეთია: მოგიყვანე? კაცად გაქციე და კარგი ხელფასი დაგინიშნე? ნება იბოძე, დამიფასე და პატიოსნად იმუშავე!

ჯანყარაშვილი და მისი ძმაკაცები, ძმები ჩხენკელები პირველად გიგი უგულავამ ამხილა. ეს მოხდა 2013 წლის 21 დეკემბერს, როცა ის ჯერ კიდევ თბილისის მერი იყო და სასამართლო პროცესებზე დარბოდა:

„სასამართლოზე ზეწოლას პირადად ახდენენ პრემიერის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილი – ზვიად ჯანყარაშვილი, რომელიც გენინსპექციის ხელმძღვანელია, ასევე ძმები ჩხენკელები. ერთი ჩხენკელი ღარიბაშვილის მთავრობაში ხუხაშვილის ფუნქციას ასრულებს და ბიზნესს აკონტროლებს“.

ვინ არიან სამნი ძმანი ჩხენკელები (აკაკი, რომან, ლაშა) რომლებმაც ასე კარგად მოიკიდეს ფეხი ირაკლი ღარიბაშვილის გარემოცვაში? ისინი მთავრობაში 2013 წელს გამოჩნდნენ. აკაკი ჩხენკელი რეგიონებში ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა, ხოლო რომანი აჭარის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დასვეს. მოგვიანებით ის ღარიბაშვილის ეკონომიკური მრჩეველი გახდა. მათი უმცროსი ძმა, ლაშა სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და ამასთანავე, ტელეკომპანია „ტვ 3“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ერთი „ნაციონალების“ ზეობის ხანაში პროკურორი და ზურაბ ადეიშვილის ძმაკაცი იყო, მეორე აუდიტის სამსახურში მუშაობდა, ხოლო მესამე – საგადასახადოში. მეტიც, რომან ჩხენკელი ბანკ „ქართუს“ გაკოტრების საქმეში მონაწილეობდა. ამის გამო, მას აპატიმრებდნენ და 15 ათასი ლარი გირაოც კი გადაიხადა. როგორც ამბობენ, ირაკლი ღარიბაშვილთან ურთიერთობის დამყარება უმცროსმა ძმამ, ლაშა ჩხენკელმა მოახერხა ზვიად ჯანყარაშვილის დახმარებით. მოკლედ, ასეა თუ ისე, ჩხენკელებმა ღარიბაშვილის კარზე ფრთები გაშალეს და რიგ შემთხვევებში გუბერნატორების დანიშვნაშიც კი ჩაერივნენ. მაგალითად, „ალიას“ წყარო გურიის ყოფილი გუბერნატორის შესახებ ასეთ ამბავს ყვება:

„როდესაც ირაკლი ღარიბაშვილმა გიორგი ჩხაიძე გუბერნატორის სკამზე დასვა, პირდაპირ ვუთხარი, ეგ ადამიანი გვერდით რომ გიდგათ, სირცხვილია-მეთქი. ჰო, კარგიო, მეტი არაფერი უთქვამს. ჩხაიძე რანაირად უნდა დაენიშნათ გუბერნატორად, როცა მას „ნაციონალებთან“ ჰქონდა კუდი გადაბმული? ჩამოვიდა თუ არა, ეგრევე დაიწყო ხალხის გაყრა სამსახურებიდან და ისევ „ნაციონალების“ მოყვანა. მამამისმა ბიზნესი გაუკეთა და თავი კაცი ჰგონია, გამგებელსაც კი დაუპირისპირდა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა. მაგისთვის კარი უნდა აგვეჭედა, მაგრამ გამგებელმა გვითხრა, შეეშვით, ეგ 15 დეკემბრამდე აქ აღარ იქნებაო და ასეც მოხდა, გაუშვეს თუ არა აკაკი ჩხენკელი, ეგეც ზედ მიაყოლეს. სხვათა შორის, ჩხაიძე „ნაციონალებს“ წინა წლებში ფულს ურიცხავდა, ჩვენ ამოვუწიეთ და თავი იმართლა, რა ვქნა, მაიძულებდნენო“.

ერთი პერიოდი ჭორის დონეზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ჯანყარაშვილის „სასტავის“ ჩაჩოჩება-გაშვება ბიძინა ივანიშვილმა თავისი დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის რჩევით დაიწყო. თუმცა ამ ინფორმაციას „ალიასთან“ საუბარში კატეგორიულად უარყოფს კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა: „სირცხვილია ასეთი ჭორების გავრცელება, უჩა მამაცაშვილს მე ვიცნობ, ერთი წესიერი კაცია და ამ ინტრიგებში საერთოდ არ ერევა. თავად ბიძინა ივანიშვილი ძალიან კარგად ხედავს, რა ხდება და ისიც იცის, რა უნდა გააკეთოს. ახლა იმასაც იძახიან, ივანიშვილი მთავრობის საქმეებში რატომ ერევაო? რა, არ უნდა ჩაერიოს? მან მოიყვანა ყველა და ამის სრული უფლება აქვს, ახლა ნება იბოძონ და მისი შენიშვნები გაითვალისწინონ“.

ბოლო დანიშვნების პროცესს თუ დავაკვირდებით, მითი „კახური კლანის“ შესახებ გაბათილდა. აქ ნამდვილად არ ჩანს, რომ ბიძინა ივანიშვილს კახელების მიმართ აქვს გართულება. 11 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ (მას შემდეგ, რაც გიორგი ზედელაშვილი გადადგა) – ვახტანგ გომელაური, ხოლო მოადგილეებად სახელმწიფო დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი, თეიმურაზ მღებრიშვილი და სასჯელაღსრულების მინისტრის ყოფილი მოადგილე, არჩილ თალაკვაძე დანიშნეს. თუ აქვე გავითვალისწინებთ გენინსპექციის უფროსად იოსებ გოგაშვილის დანიშვნას, „კახური კლანი“ მხოლოდ მცირე რაოდენობით შემცირდა, ძირითადად იმ ადამიანების ხარჯზე, ვინც ზვიად ჯანყარაშვილთან იყო დაკავშირებული. თუკი ჯანყარაშვილის „სასტავი“ მართლაც ახდენდა ზეწოლას ბიზნესზე, მაშინ გამოდის, ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ ამ კუთხით „წაიმუშავა“.

ვინ არის ვახტანგ გომელაური? თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ის ბიძინა ივანიშვილის კაცია. ერთი ხანობა იმაზეც კი იყო ლაპარაკი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნავდნენ, მაგრამ მოგვიანებით მოადგილედ დატოვეს. მას კარგი სკოლა აქვს გავლილი შინაგან საქმეთა ორგანოებში, ასევე, იყო ბიძინა ივანიშვილის დაცვის უფროსი პრემიერმინისტრობის დროს.

ვინ არის არჩილ თალაკვაძე? როგორც ამბობენ, ის სოზარ სუბარმა დააფრთიანა, თავის დროზე, როცა სახალხო დამცველი გახლდათ, მისი მრჩეველი იყო მენეჯმენტის საკითხებში, შემდეგ კი თავის მოადგილედ წაიყვანა სასჯელაღსრულების სამინისტროში. არჩილ თალაკვაძე 31 წლისაა და აქებენ, გონიერი ბიჭიაო. რაც შეეხება თეიმურაზ მღებრიშვილს, ის წარმოშობით თელავიდან არის და ღარიბაშვილის კადრია. თანამდებობას ისევ დაუბრუნდა ივანიშვილის კიდევ ერთი კაცი – ანზორ ჩუბინიძე, რომელიც 2012 წლამდე მისი დაცვის უფროსი გახლდათ, შემდეგ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად გადაიყვანეს, მაგრამ იქ სულ რამდენიმე თვე იმუშავა. ამ ადამიანს პირადად ვიცნობ და ისედაც ძალიან აქებენ.

აშკარად ჩანს, რომ ღარიბაშვილმა და ივანიშვილმა კადრების საკითხში შეთანხმებას მიაღწიეს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

### საქართველომ აშშ-სგან შესაძლოა, 30 მილიონი მიიღოს



ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი წლის ბიუჯეტში შესაძლოა, საქართველოსთვის 30 მილიონი დოლარის სამხედრო დახმარებაც მოხვდეს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით:

„2014 წლის 10 დეკემბერს, აშშ-ის სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ მიაღწიეს შეთანხმებას 2015 ფისკალური წლის ასიგნებების კანონპროექტის პაკეტთან დაკავშირებით.

სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო ოპერაციებისა და შესაბამისი პროგრამების ასიგნებების ნაწილში, საქართველოსთან მიმართებით საყურადღებოა, რომ საგარეო სამხედრო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, საქართველოსთვის გათვალისწინებულია 30 მლნ აშშ დოლარი. ამას გარდა, „ევროპის მხარდაჭერის ინიციატივის“ ფარგლებში, 57 მლნ აშშ დოლარი გამოიყოფა უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვასთვის დახმარების გაზრდის მიზნით. თავდაცვის დეპარტამენტის ასიგნებების ნაწილში, საქართველოსთვის კონკრეტული რაოდენობა არ არის გამოყოფილი, თუმცა, ჯამში, გამოყოფილია 810 მლნ აშშ დოლარი, რომელიც მიზნად ისახავს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შემდგომი დესტაბილიზაციის შეკავებას და ამ მიმართულებით შესაძლებლობების, რეგიონში ყოფნის, მზაობისა და რეაგირების გაზრდის მხარდაჭერას“. – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### შეიარაღებული თავდასხმა ზუგდიდის ცენტრში



ზუგდიდში გამსახურდიას ქუჩაზე, სადარბაზოში ქალბატონს 2 შეიარაღებული პირი დახვდა და იარაღის მუქარით 2 კილომდე ოქრო წაართვა.

დაზარალებული ქალბატონი ლომბარდის თანამშრომელია, რომელსაც წართმეული ოქრო სამსახურიდან სახლში მიჰქონდა. ის ამ ნივთების მოწესრიგებას, შემდეგ კი ე.წ. ოქროს ბირჟაზე გაყიდვას გეგმავდა.

არსებული ინფორმაციით, ძარცვაში მესამე პირიც მონაწილეობდა, რომელიც გარე პერიმეტრს აკონტროლებდა. (ნიუპოსტი)



# ჯარში სამსახური ქალებისთვისაც სავალდებულო გახდება?

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებით განხილვაში მიიღო საქმე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კეკენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც მოსარჩელე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მხოლოდ მამაკაცების გაწვევას დისკრიმინაციულად მიიჩნევს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, რომელიც სქესის ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს.

სასამართლოს პირველი კოლეგია მიიჩნევს, რომ აღნიშნული სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს კანონის მოთხოვნებს და არ არსებობს არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი.

მოკლედ, მოსარჩელის არგუმენტი შეიძლება ასე შეფასდეს: „თუ გენდერული თანასწორობაა, თანასწორობა იყოს“

თუ საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, შეიცვლება თუ არა კანონი? გაიწვევენ თუ არა ქალებს სავალდებულო სამსახურში?

„ალიას“ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილი** ესაუბრა:

**— თუ საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, ქალებსაც გაიწვევენ ჯარში?**

– სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია და მოდით, სიტუაცია შევაფასოთ: დღევანდელი კანონმდებლობით არსებობს ორი ტიპის სამხედრო სამსახური, სავალდებულო და საკონტრაქტო. სავალდებულო სამსახურისგან ქალები თავისუფლდებიან, საკონტრაქტოს რაც შეეხება, ქალებს უფლება აქვთ, სურვილის შემთხვევაში იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში. ანუ, უფლება და არა ვალდებულება. მამაკაცებს უფლება აქვთ სამსახურის 18-იდან 27 წლამდე და ქალებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება.

**— ჰოდა, მოქალაქე კეკენაძე სავალდებულოდ ითხოვს ქალების სამსახურსაც, ანუ თანასწორობა ყველგან და ყველაფერშიო.**

– მე როგორც გავიგე, მოქალაქე ჩივის იმას, რომ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ვარ, რადგანაც მე ვალდებული ვარ, ვიმსახურო გაწვევით და ქალები – რატომაც არაო. ვიმეორებ, ქალებს არ ეზღუდებათ შეიარაღებულ ძალებში ყოფნა და გენდერული თანასწორობა დაცულია.

**— ირაკლი, არ მიპასუხეთ და გიმეორებთ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს, რომ ქალებისთვის ჯარში გაწვევა გახდეს სავალდებულო, რას აპირებთ, შეცვლით კანონებს?**

– მესმის, მაგრამ ამ შემთხვევაში გარკვეული უთანასწორობა წარმოიშვება. დღევანდელი კანონმდებლობით წვევამდელს თუ ჰყავს ერთი შვილი ორ წლამდე, მას სამსახური გადაუვადდება, მაგრამ თუ წვევამდელს ჰყავს ერთი სამი წლის შვილი, მას ევალება ჯარში სამსახური. ეს მომჩივანი კეკენაძე არის სტუდენტი, დავუშვათ, მის მეგობარ სტუდენტ გოგონას ჰყავს სამი წლის შვილი და, თუ თანაბარ პირობებს ვთავაზობთ, მაშინ ეს გოგონაც ხდება ვალდებული, დატოვოს ბავშვი და ჯარში წავიდეს. კითხვა მაქვს, რამდენად მისაღებია, რომ დედამ მიატოვოს სამი წლის ბავშვი და წავიდეს ჯარში, ბავშვის უფლებები რამდენად იქნება დაცული?

**— ისე, სახელმწიფოს სჭირდება კი ამდენი წვევამდელი ქალი და ვაჟიც?**

– რა თქმა უნდა, არა. ის, რა რაოდენობაც დღეს მსახურობს ჯარში, სრულიად საკმარისია.

**— ნაწილობრივ კი მიპასუხეთ ჩემს შემდგომ კითხვაზე, ბავშვები რომ ახსენეთ, მაგრამ კიდევ რა შეიძლება იყოს ქალისთვის ხელისშემშლელი პირობა?**

– მოდით, ასე ვიტყვი, ფორმიან ქალსაც და მამაკაცსაც ჩვენი ქვეყანა ერთნაირად განიხილავს და არ არსებობს დისკრიმინაციული მიდგომა, ყველას ჩვენი წილი პასუხისმგებლობა გვაქვს ქვეყნის წინაშე. ქალები ქვეყანას სხვა სახით ემსახურებიან და დემოგრაფიულ საკითხში ქალის როლი ძალიან დიდია.

**— პასუხი მაინტერესებს, ხელისშემშლელი რა იქნება, ფეხმძიმობა?**

– არამარტო, ასევე, ფიზიკური ნორმატივები და ჩვენი კანონმდებლობა დღეს კრძალავს ქალების მონაწილეობას საბრძოლო ოპერაციებში.

**— აბა, საკონსტიტუციომ რატომ მიიღო განსახილველად ეს წინადადება?**

– ალბათ, ამ შემთხვევაში სასამართლო გამოვიდა დისკრიმინაციული კანონის დისკრეციიდან და თუ ქვეყნის წინაშე ყველა ვალდებულია, აქ ქალიც იგულისხმება და კაციც.

არა მგონია, სასამართლომ ეს სარჩელი დააკმაყოფილოს, რადგანაც ის ეწინააღმდეგება ჩვენს ძირითად პრინციპებს, თუმცა ისრაელში ეს მიღებულია, რადგანაც იქ დიდი არმიაა და ყველა მსახურობს.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ქედის გამგეობის დაცვის თანამშრომელმა თავი მოიკლა




შემთხვევა შუადღის საათებში დაცვის თანამშრომლების მოსასვენებელ ოთახში მოხდა. გარდაცვლილს ერთი ტყვია, საფეთქელთან ჰქონდა მოხვედრილი. თვითმკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

გელა ბეჟანიძეს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## რა ბედი ელით გორში მიუსაფარ ადამიანებს?!



გორში, კომბინატის დასახლებაში, გასული წლის მსგავსად, მიუსაფარი პირებისთვის კარვების გაშლაა დაგეგმილი, თუმცა როგორც გორის მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი ეკატერინე ქუთათელაძე აცხადებს, როდის, ამაზე მას ზუსტი პასუხი არ აქვს.

ქუთათელაძე ამბობს, რომ კარვები დაახლოვებით მიმდინარე თვის შუა რიცხვებში გაიშლება. (ნიუპოსტი)

# „თიბისი ბანკისა“ და „ბანკი კონსტანტას“ კონსოლიდაცია იანვარში შედგება

**„თიბისი ბანკისა“ და „ბანკი კონსტანტას“ კონსოლიდაციის პროცესი დაიწყო და ის იურიდიულად 2015 წლის იანვარში გაფორმდება. ამ გადაწყვეტილების შესახებ ჟურნალისტებს „თიბისი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ და „თიბისი ბანკის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ნიკოლოზ ქურდიანმა აცნობეს.**




მათი თქმით, ეს გადაწყვეტილება „თიბისი ბანკის“ აქციონერთა კრებამ მიკროფინანსების ბაზარზე არსებული ახალი გამოწვევებისა და ამ ბიზნესში ზრდის მაღალი პოტენციალის გამო მიიღო.

მიკროსაფინანსო ბაზარზე მოქმედი ლიდერი ფინანსური ინსტიტუტი, „ბანკი კონსტანტა“, რომლის აქციების 100%-ის მფლობელი „თიბისი ბანკია“, იანვრამდე უცვლელად გააგრძელებს ოპერირებას, ხოლო იანვარში შედგება კონსოლიდაცია, რის შემდეგაც „ბანკი კონსტანტა“ და „თიბისი ბანკი“ ერთი იურიდიული პირის სტატუსით გააგრძელებს მუშაობას.

კონსოლიდაციის შემდეგ ეტაპობრივად მოხდება „კონსტანტას“ ბრენდის „თიბისის“ ბრენდქვეშ გადასვლა – „კონსტანტას“ სახელის, ფერებისა და ლოგოს შეცვლა. „ბანკი კონსტანტას“ ფილიალები გააგრძელებს მუშაობას „თიბისი ბანკი კონსტანტას“ სახელით. მომხმარებლები კი კვლავ შეძლებენ, ისარგებლონ, „კონსტანტას“ მიერ დღეს შეთავაზებული პროდუქტებით, თუმცა პროდუქტების არჩევანს დაემატება „თიბისი ბანკის“ ცალკეული შემოთავაზებებიც.

„ბანკი კონსტანტა“ კომერციული ბანკის სტატუსით 2008 წლიდან ოპერირებს. მისი საქმიანობის სტრატეგიული მიმართულება მიკრო და მცირე ბიზნესისთვის ფინანსური მომსახურების გაწევაა.

„თიბისი ბანკი“ „ბანკი კონსტანტას“ მფლობელი 2011 წელს გახდა და ამ დროის განმავლობაში „თიბისი ბანკის“ მიერ „ბანკი კონსტანტას“ განვითარებაში ინვესტირების მოცულობამ დაახლოებით 226 მლნ ლარი შეადგინა. ამ ინვესტიციის შედეგად „კონსტანტას“ მთლიანი პორტფელი 400%-ით გაიზარდა. ამან შესაძლებლობა მისცა „ბანკი კონსტანტას“ მომხმარებლებს რეგიონებსა და ქალაქებში, მიეღოთ საჭირო ფინანსური მხარდაჭერა საკუთარი მეურნეობებისა თუ მიკრობიზნესების განსავითარებლად.

**დღეისთვის „ბანკი კონსტანტა“ საქართველოს მასშტაბით არსებული 60-მდე ფილიალის საშუალებით მიკრო და მცირე მეწარმეს ემსახურება. მისი საკრედიტო პორტფელის ძირითადი ნაწილი მიკრო ბიზნესსესხებსა და აგროსესხებს უჭირავს.**

– კონსოლიდაციის შემდეგ, მიკროფინანსირება „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდება. ჩვენ ვთვლით, რომ შევძლებთ ჩვენი გამოცდილების ეფექტურად გამოყენებას იმისთვის, რომ განვავითაროთ მიკროფინანსების სეგმენტი და გავამყაროთ ლიდერული პოზიციები მიკროსაფინანსო ბაზარზე. ვფიქრობთ, საქართველოს საფინანსო სექტორისთვის – ეს ნიშნავს მეტ კონკურენციას მიკროსაფინანსო ბიზნესში და შედეგად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, „კონსტანტას“ კლიენტებისთვის – კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას, ტექნოლოგიურ სიახლეებს, პროდუქტების ფართო არჩევანს, სტაბილური თანამშრომლობის პერსპექტივას და ა.შ. ხოლო „კონსტანტას“ თანამშრომლებისთვის – უფრო მეტი გამოცდილების შეძენასა და პროფესიულ განვითარებას, – განაცხადა თიბისი ბანკის დირექტორმა, **ვახტანგ ბუცხრიკიძემ.**

**კონსოლიდაციის პროცესის ფორმალურ მხარესთან, კერძოდ, მომხმარებელთა ხელშეკრულებების განახლებასთან დაკავშირებით, „ბანკი კონსტანტას“ კლიენტები დროულად იქნებიან ინფორმირებულნი, რათა ორი ბანკის შერწყმის პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ, სწრაფად და ეფექტურად განხორციელდეს.**

GOEuro-ს წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მატარებლით მგზავრობის სიიაფის რეიტინგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოს მხოლოდ სამხრეთ აფრიკა უსწრებს.

GOEuro არის სამოგზაურო სივრცეში მულტიფუნქციური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ის ადარებს და თვლის მატარებლით, ავტობუსითა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულებას.

აღნიშნული კვლევა GOEuro-მ 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.






**რატომ მიიჩნევენ „თავისუფალი დემოკრატები, რომ ქვეყანაში კრიზისია? რატომ არ აძლევენ ხმას ბიუჯეტს? შეიცვლება თუ არა მოსმენების კანონი? როგორი რეფორმა უნდა გატარდეს პროკურატურაში და ვისთან უნდა იყოს ანგარიშვალდებული?**

**„ალია“ „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს, ვიცე-სპიკერს ზურაბ აბაშიძეს დაუკავშირდა:**



# პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე: „როგორც კი ამ საკითხებზე კონკრეტულ დოკუმენტს მოვიძიებთ, ჩვენ აუცილებლად გამხელთ ხელისუფლებას“

**— გახშირებულ მოხსნა-დანიშვნებზე რას ფიქრობთ, მართლა ბუნებრივი პროცესია, როგორც ხელისუფლება ამბობს, თუ სამთავრობო კრიზისი?**

– ეს მიანიშნებს, რომ გარკვეული სახელისუფლებო კრიზისია. იმის თქმა, რომ არაფერი არ ხდება, არასწორია. ღარიბაშვილთან დაახლოებული პირები ტოვებენ თანამდებობებს, თითქოს თავიანთი ნებით მიდიან, სინამდვილეში ეს ყველაფერი ემსახურება მისი ძალაუფლების შესუსტებას. რამდენიმე დღე პრემიერი დუმდა, ხოლო პრესკონფერენციაზე მისი განცხადებები დამაჯერებლად არ ჩანდა. ახლა მთავარია, გაირკვეს ამ ადამიანების წასვლის მიზეზი. პირადად მე, არ ვიცი, ეს არის რაიმე კლანური დაპირისპირება, ბიზნესგადანაწილების სქემებთან დაკავშირებული, თუ გავლენის სფეროების გაძლიერების მცდელობა და ამ მიმართულებით ღარიბაშვილის შესუსტება. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში სხვებმაც დატოვონ თანამდებობები. სამწუხაროდ, ღარიბაშვილი დღეს სუსტი რგოლი აღმოჩნდა, როგორც მთავრობის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი.

**— როგორ ფიქრობთ, მივა პროცესები რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე?**

– რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა შესაძლებელია ორი მიზეზით: თუ მთავრობას არ აქვს ნდობა პარლამენტის მხრიდან და ბიუჯეტი ვარდება, რომელიც დროში გაწელილია და ასე მარტივად ეს პროცედურა არ ხდება. თუ ვინმე დაინტერესებულია, ხელოვნურად გამოიწვიოს ვადამდელი არჩევნები და თუ ვინმეს თავში ასეთი აზრები იბადება, გეტყვით, რომ საზიანო იქნება ქვეყნისთვის. თუ ხელისუფლება ხელოვნურად დგამს ასეთ ნაბიჯს, რომ შექმნას კრიზისი, წავიდეს ვადამდელი არჩევნების გზით, ეს სხვა საკითხია, მაგრამ რეალურად მიზეზს ვერ ვხედავ, რომ დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. მიუხედავად სუსტი მთავრობისა, არ ვისურვებდი, რომ დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები, რასაც მოჰყვება ქვეყნის დასუსტება ეკონომიკურად, ასევე ქვეყნის უსაფრთხოებასაც პრობლემები შეექმნება...

**— გამაღიზიანებელია „ნაციონალური მოძრაობის“ 40 მანდატი, ხალხი ვერ ეგუება ასეთ პარლამენტს. და მაინც, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „თავისუფალი დემოკრატები“, „ნაციონალები“ ბიუჯეტის დამტკიცებას ხმას არ აძლევთ. თუკი ბიუჯეტი ჩავარდა, რიგგარეშე არჩევნები ხომ გარდაუვალი იქნება?**

– მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის ბიუჯეტი ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს არის შემუშავებული, ჩვენ როგორც ოპოზიციური ძალა პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ. პირდაპირ გეტყვით, რომ არც იმას ვაპირებთ ბიუჯეტის წინააღმდეგ მივცეთ ხმა, ჩვენ, უბრალოდ, კენჭისყრაში არ მივიღებთ მონაწილეობას. ტექნიკურ უმრავლესობას, რომელიც ჩვენი გამოსვლის შემდეგ შეიკრიბა, აქვს საკმარისი ხმები, გაიტანონ ბიუჯეტი. მე გამოვრიცხავ, რომ ბიუჯეტი ჩავარდეს. და თუ უმრავლესობის წევრები ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერენ, ეს ნიშნავს, რომ მათ ოპოზიციური განწყობა აქვთ.

**— ჩემთვის ცნობილია, რომ მოსმენების კანონით არც ბიძინა ივანიშვილია კმაყოფილი და მან განაცხადა კიდეც, რომ გადაიხედება. საერთაშორისო კონვენცია ითვალისწინებს, რომ მოსმენები განახორციელოს უშიშროების სამსახურმა და არა შსს-მ. ხომ არ ფიქრობთ, დაჩქარებული წესით შსს-ს რეფორმირება სწორედ იმიტომ დაიწყეს, რომ ადამიანებს არ გაუჩნდეთ კითხვის ნიშნები მოსმენებთან დაკავშირებით და კანონი გადაიხედება.**

– მოსმენების კანონი აუცილებლად გადაიხედება, ხელისუფლება ამ ტიპის კანონმდებლობას ვერ შეინარჩუნებს, ჩვენ არასოდეს გვითქვამს, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოება გვერდზე უნდა გავწიოთ. ადამიანების უფლება არ უნდა შეილახოს და მოსმენები არ უნდა იქნას გამოყენებული შსს-სგან პოლიტიკური დევნის იარაღად, შანტაჟის მიზნით, სამწუხაროდ, კვლავ ამ საშიშროების წინაშე ვდგავართ. მოსმენების კანონი აუცილებლად იქნება შესაცვლელი.

**— „თავისუფალი დემოკრატები“ მოითხოვთ, რომ სასწრაფოდ გატარდეს პროკურატურაში რეფორმა. უწყებაში, რომელსაც თქვენი პარტიის ლიდერთან, ირაკლი ალასანიასთან ექნება კითხვები, ყოველ შემთხვევაში პრემიერმა ასე განაცხადა, რომ ალასანიასთან პროკურატურას ექნება კითხვებიო...**

– დარწმუნებული ვარ, ე.წ. კაბელის საქმეზე დაპატიმრებული ადამიანები ძალიან მალე განთავისუფლდებიან, რადგან უდანაშაულოები არიან. სამწუხაროდ, ეს ადამიანები პოლიტიკური ანგარიშსწორების გამო სხედან, პოლიტიკური ეჭვების გამო, რაც მიზნად ისახავს პოტენციური პოლიტიკური კონკურენტის ირაკლი ალასანიას განეიტრალებას. როგორ ფიქრობთ, ხელმოსაკიდი რომ ჰქონოდათ რამე, ამ ხნის მანძილზე არ ატეხდნენ ხმაურს?

არ შეიძლება არ ვიფიქროთ პროკურატურის რეფორმაზე, იმ შიშებიდან გამომდინარე, რაც წინა ხელისუფლების პროკურატურასთან გვქონდა. აღმოჩნდა, რომ პარლამენტმა არასწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, რომლის მონაწილე მეც გახლავართ და ამას ვაღიარებ, როცა ჩვენ პროკურატურა გამოვიყვანეთ იუსტიციის სფეროდან, მივეცით დამოუკიდებლობა. პროკურატურა არ არის პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი, რაც არა მგონია, რომ სწორი იყოს. ხელისუფალს არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, პროკურატურას მისცეს პოლიტიკური დავალება და პროკურატურით განიმტკიცოს საკუთარი ძალაუფლება და აქციოს პოლიტიკურ იარაღად.

**— ჩვენი ინფორმაციით, ერთ-ერთია ირაკლი ალასანია, რომელმაც ირაკლი ღარიბაშვილის გარემოცვაზე მიაწოდა ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილს, რის შემდეგაც მოხდა ჯანყარაშვილის ივანიშვილთან დაბარება და მის სახელთან ასოცირებული ადამიანების სამსახურებიდან წასვლა.**

– ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დეტალები მე არ ვიცი, ეს თავად ირაკლი ალასანიას ჰკითხეთ.

**— ალასანიასთან შეხვედრის შემდეგ რამდენიმე დღეში მოხდა ცვლილებები. დამთხვევები ასე არ ხდება...**

– მესმის, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, რაზე ისაუბრეს ერთმანეთში ალასანიამ და ივანიშვილმა.

**— დავით უსუფაშვილმა განაცხადა, არ არის გამორიცხული, „რესპუბლიკური პარტია“ ახალ კოალიციურ ფორმატში იხილოთო... „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ შორის კონსულტაციები დაიწყო?**

– „რესპუბლიკელები“ არიან თემატური უმრავლესობის ნაწილი, მათ აქვთ განსხვავებული პოზიციები და ეს კიდეც გამოჩნდა, ჩვენ ვმეგობრობთ, სამომავლო გეგმებზე საუბარი ნამდვილად არ გვქონია.

**— თითქმის ერთ თვეზე მეტია, ოპოზიციაში ხართ და თქვენი მხრიდან არ მოგვისმენია კონკრეტული ფაქტი ხელისუფლების გადაცდომებზე, კორუფციულ სქემებზე, აღვირახსნილ პრემიებზე. ორი ვარიანტია, ან ხელისუფლება კარგად მუშაობს ამ კუთხით თქვენი გადასახედიდან, ან თქვენი პარტიაც თანამონაწილე იყო იმ დროს, ამ კონკრეტულ საკითხებში.**

– კონკრეტული ფაქტი რომ დაასახელო, ძალიან მყარი მტკიცებულებები უნდა გქონდეს, რაც ჩვენ არ გვაქვს. როცა გვექნება კონკრეტული ფაქტები, ჩვენ ამას დავდებთ. თუმცა ერთი რამ ცხადია, საზოგადოების ეჭვებს პასუხი უნდა გაეცეს. იგივე თბილისის მერიასთან დაკავშირებით ერთი ამბავია ატეხილი. კონკრეტულმა ადამიანებმა სახელმწიფო რესურსი გამოიყენეს, ფინანსები დახარჯეს არასწორად. არ არის აუცილებელი, ქრთამი აიღო და ამას დაარქვა კორუფცია, შეიძლება არსებობდეს უამრავი კორუფციული სქემა, ნათესაური კავშირების გამოყენება, მათი ტენდერებში გამარჯვება, ბიზნესურთიერთობების დამყარება. ეს კლასიკური კორუფციაა. როგორც კი ამ საკითხებზე კონკრეტულ დოკუმენტს მოვიძიებთ, მტკიცებულებით გამყარებულს, ჩვენ აუცილებლად ვამხელთ ხელისუფლებას. თუმცა აქვე გეტყვით, რომ უმრავლესობაში ძალიან ბევრ ადამიანთან არსებობდა მეგობრული ურთიერთობა, ჩვენ ერთად ვიბრძოდით გამარჯვებისთვის და არასოდეს არ გავხდებით ერთმანეთის მტრები. ჩვენ ვართ მოწინააღმდეგეები იმასთან მიმართებაში, როგორ უნდა იმართოს სახელმწიფო.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ამ სუბიექტს პერსპექტივა არ აქვს, მას მალე თავისი „ხაზეინი“ მოიშორებს თავიდან“



მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია „reeD TV“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლების ქმედებებმა უკრაინასთან ურთიერთობაში პრობლემები წარმოშვა.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დასავლეთს მოუწოდა, არ შეეიარაღებინა უკრაინა, უარი თქვეს რუსეთის საწინააღმდეგო რეზოლუციაზე და ა.შ. ყველაფერი ეს კარგად არ მოქმედებს ურთიერთობებზე“. – განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა:

„უფრო მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, ამ პირობებში მიაღწევს თუ არა ქვეყანა მომავალ არჩევნებამდე, რუსეთი ისტერიულად აშენებს სამხედრო შემოჭრისთვის გზას დაღესტნიდან, ეს პირდაპირი გზაა თბილისზე შეტევისთვის და ასევე აზერბაიჯანზეც. ახლა როცა სამხრეთის ნაკადი დაიხურა ამ სიტუაციაში პუტინს მისმა დემონმა უბრძანა, აუცილებლად დახუროს ალტერნატიული გზა, გაზის ექსპორტის აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით.

ეს საფრთხე რომ თავიდან იქნას აცილებული საქართველოს უნდა ჰქონდეს იმუნიტეტი და უნდა ჰყავდეს ძლიერი ეფექტური ხელისუფლება, მიუხედავად ამისა, სიტუაცია ყოველდღიურად უარესდება და კონკრეტულ გეოპოლიტიკურ რეგიონზე ღია სამხედრო აგრესიას ახორციელებს ძალიან საშიში დიქტატორი პუტინი“.

სააკაშვილის თქმით, ახლა საჭიროა დიდი სიფრთხილე და წვრილ-წვრილ პოლიტიკურ ამბებზე დრო არ უნდა დაიკარგოს.

„ქართველმა ხალხმა თავისთავს თვითონ უნდა უშველოს, როგორც ეს ხდებოდა ისტორიულად. მე, რა თქმა უნდა, ვაპირებ, დავბრუნდე საქართველოში და ეს იქნება უფრო მალე, ვიდრე ამჟამინდელ ხელისუფლებას ჰგონია, მათ ეშინიათ ჩემი დაბრუნების და ამისთვის ქმნიან სულელურ საქმეებს, რომლებიც ხუხულასავით დაინგრევა. მე საკმაო მოთმინებით ველოდები ამას“. – აღნიშნა სააკაშვილმა.

სააკაშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის უკრაინაში დაგეგმილ ვიზიტზეც ისაუბრა. შეკითხვაზე, რა მოლოდინები აქვს მას ამ ვიზიტთან დაკავშირებით და რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ღარიბაშვილის უკრაინაში ჩასვლას, სააკაშვილმა უპასუხა: „ამ სუბიექტს თავად არ აქვს პერსპექტივა, მას თავად თავისი „ხაზეინი" მოიშორებს მალე თავიდან. საქართველოს კი უწევს ცოტა ტურბულენტურ მდგომარეობაში ყოფნა, მაგრამ მჯერა, რომ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება“. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 40 წლის ქალმა რძალი და 6 თვის შვილიშვილი დაახრჩო



აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 10 დეკემბერს სურახანის რაიონის, დასახლება გოვსანში, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ტრაგედია მოხდა. საქართველოს მოქალაქემ, 40 წლის შარგია ჰუსეინოვამ საკუთარ სახლში ოჯახური კონფლიქტის დროს 20 წლის რძალს ელნარა ნაჯაფოვას ჯერ რამდენჯერმე ჩაარტყა თავში, შემდეგ კი ისიც და 6 თვის შვილიშვილიც დაახრჩო. ჩადენილი დანაშაულის შემდეგ ჰუსეინოვა ადგილიდან მიიმალა.

სამძებრო-ოპერატიული განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული სამუშაოების ჩატარების შემდეგ ეჭვმიტანილი დააკავეს. (ნიუპოსტი)

# რა შეიცვალა თეა წულუკიანის „დრაკონულ“ იარაღის კანონში

## „ალიას“ და იურიდიული კომიტეტის ერთობლივი მცდელობით

იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს პარლამენტს „იარაღის შესახებ კანონის“ ახალი ვარიანტი სექტემბერში წარუდგინა. ახალი კანონი ძალიან ბევრ აბსურდულ ცვლილებას ითვალისწინებდა. „ალიამ“ პირველმა აღმოაჩინა, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი სისულელე ამ კანონპროექტში და ამის შესახებ რამდენჯერმე დავწერეთ კიდეც. ჩვენ მიერ ატეხილ ხმაურს შედეგი მოჰყვა — იურიდიული კომიტეტი მედგრად დაუდგა თეა წულუკიანის უწყებას და მრავალი შესწორების შეტანა აიძულა. იურიდიულ კომიტეტში კანონპროექტის განხილვა დასრულდა. ვერ ვიტყვი, რომ იურიდიულმა კომიტეტმა ბოლომდე გაიტანა თავისი და რაც სურდა, ყველა ცვლილება შეიტანა კანონპროექტში, მაგრამ ზოგიერთი რამ იარაღის მფლობელი მოქალაქეების სასიკეთოდ შეიცვალა. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ზოგიერთი, **მართლა აბსურდული ცვლილება კანონპროექტში დღემდე რჩება და იმედია, დეპუტატები ხალხის მხარეს დადგებიან და უკვე პარლამენტის სხდომებზე მოხდება მათი დაბლოკვა.**

**„იარაღის შესახებ კანონში“ შეტანილ ამ ცვლილებებზე „ალიას“ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თამაზ ავდალიანი ესაუბრა:**

**— ბატონო თამაზ, რა კონკრეტული ცვლილებები შევიდა კანონპროექტში?**

– თავშივე გეტყვით, რომ ცეცხლსასროლი და სხვა სახის იარაღის დაკანონების პროცედურები, საბოლოო ჯამში, მკაცრდება. ეს ეხება იარაღის შეძენის, შენახვისა და გამოყენების წესებს, მაგრამ იურიდიულმა კომიტეტმა ბევრი ცვლილება შეიტანა კანონპროექტში, რომლებიც მთავრობამ გაიზიარა და ეს ცვლილებები ჩვენს მოქალაქეებს თავდაცვის მიზნით იარაღთან წვდომას გაუიოლებს.

**— თუ კანონი გამკაცრდა, ხალხს იარაღთან წვდომა როგორღა გაუიოლდება?**



– არა, საბოლოოდ კანონი გამკაცრდება, მაგრამ ეს კანონი ბევრად ლიბერალური გახდა, ვიდრე მისი პირვანდელი ვარიანტი იყო. მართლა ბევრი ისეთი რამ ეწერა მთავრობის მიერ წარმოდგენილ პირვანდელ ვარიანტში, რომ მათი „გატარება“ არ შეიძლებოდა. მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ. იარაღის ფლობის ლიცენზია შეიძლება გაუუქმდეს



პირს, თუ ის დაავადდება ფსიქიკურად, ან ამის შესახებ ცნობილი გახდება იარაღის ფლობის ლიცენზიის, ნებართვის გამცემი ორგანოებისთვის. წინა ვარიანტში ეს პუნქტი არ იყო, იარაღის მფლობელი ვალდებული იყო, ყოველწლიური ფსიქიკური შემოწმება გაევლო. ამ ერთწლიან შუალედში კი, თუ ის ფსიქიკურად დაავადდებოდა, იარაღის ფლობის ნებართვა რჩებოდა. ახლა კი, თუ შსს შეიტყობს, რომ ასეთი პირი ფსიქიკურად დაავადდა, მას ნებართვას გაუუქმებს. თუ პირს გაუჩნდება ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს გახდის მის მიერ იარაღის გამოყენების საშუალებას, მას ლიცენზია გაუუქმდება. ღმერთმა ყველა დაიფაროს და ხომ შეიძლება, ადამიანმა ორივე ხელი დაკარგოს და ცხადია, ის არათუ იარაღს ველარ გამოიყენებს, მისი შენახვის წესების გაკონტროლებასაც ველარ შეძლებს. ასეთ შემთხვევაში, მას იარაღის ლიცენზია გაუუქმდება და იარაღს ჩამოართმევენ. თუ ლიცენზიის მფლობელი სისტემატურად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, მასაც ჩამოერთმევა ეს ლიცენზია. დავუშვათ, ვინმე სისტემატურად ხულიგნობს, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს მეზობლებს, დებოშიორობს, მას ლიცენზია უუქმდება. ასევე, ლიცენზია წაერთმევა ისეთ პირს, ვინც ქრონიკული ალკოჰოლიკი, ნარკომანი ან ტოქსიკომანი გახდა და ამის შესახებ ლიცენზიის გამცემი ორგანოსთვის, ანუ პოლიციისთვის გახდება ცნობილი.

> **„თუ კონკრეტული პიროვნება მოკლე დროში რამდენჯერმე ნარკოტიკის მოხმარების ფაქტზე დაფიქსირდა და ეს ექსპერტიზამ დაადასტურა, პოლიციას სამართლიანად ეძლევა უფლება, ასეთ ადამიანს იარაღის შენახვის ნებართვა ჩამოართვას. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ტოქსიკომანზეც. ალკოჰოლიკის შემთხვევაში კი პოლიციას მოწმეები დასჭირდება იმის დასადასტურებლად, რომ პიროვნება უკვე ქრონიკული ალკოჰოლიკია“**

**— ლიცენზიის გამცემი ორგანო პოლიციაა და ზუსტად მანდ არის პრობლემა. ხომ შეიძლება პიროვნება იყენებდეს ნარკოტიკს, ალკოჰოლურ სასმელს მეტ-ნაკლებად ეტანებოდეს, მაგრამ ქრონიკულად არა, პოლიციამ კი, თუნდაც პირადი შურისძიების, ანდა პიროვნების მიმართ ანტიპათიის გამო, მას ქრონიკული ნარკომანობა და ალკოჰოლიკობა დააბრალოს და ლიცენზია წაართვას?**

– არა, პოლიციას ამდენად არ ექნება ხელ-ფეხი გახსნილი. პიროვნებას ლიცენზიას ასე, ერთი ხელის მოსმით ვერ გაუუქმებს. თუ კონკრეტული პიროვნება მოკლე დროში რამდენჯერმე ნარკოტიკის მოხმარების ფაქტზე დაფიქსირდა და ეს ექსპერტიზამ დაადასტურა, პოლიციას სამართლიანად ეძლევა უფლება, ასეთ ადამიანს იარაღის შენახვის ნებართვა ჩამოართვას. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ტოქსიკომანზეც. ალკოჰოლიკის შემთხვევაში კი პოლიციას მოწმეები დასჭირდება იმის დასადასტურებლად, რომ პიროვნება უკვე ქრონიკული ალკოჰოლიკია.

**— წინა კანონპროექტში ეწერა, რომ ადამიანს ნასამართლობა რომც გაქარწყლებოდა, ცხოვრების ბოლომდე არ ეძლეოდა იარაღის შენახვა-ტარების ნებართვა, მათ შორის, მსუბუქი, არაძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირებს. თქვენ ამას არ ეთანხმებოდით და შეცვალეთ რაიმე?**

– კი, კომიტეტმა შეიტანა ცვლილებები და ეს მუხლი შემსუბუქდა. ნაკლებად მძიმე დანაშაულზე ნასამართლევ პიროვნებას, ნასამართლობის გაქარწყლებიდან კიდევ 4 წლის ვადით ეკრძალება იარაღის ფლობა, შესაბამისად, ვინც მძიმე დანაშაულისთვის არის ნასამართლევი, მას გაქარწყლებიდან 8 წელი ეკრძალება იარაღთან წვდომა, ხოლო ვინც განსაკუთრებით

> **„იარაღის ფლობის ლიცენზია შეიძლება გაუუქმდეს პირს, თუ ის დაავადდება ფსიქიკურად, ან ამის შესახებ ცნობილი გახდება იარაღის ფლობის ლიცენზიის, ნებართვის გამცემი ორგანოებისთვის. წინა ვარიანტში ეს პუნქტი არ იყო, იარაღის მფლობელი ვალდებული იყო, ყოველწლიური ფსიქიკური შემოწმება გაევლო... თუ ლიცენზიის მფლობელი სისტემატურად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, მასაც ჩამოერთმევა ეს ლიცენზია. დავუშვათ, ვინმე სისტემატურად ხულიგნობს, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს მეზობლებს, დებოშიორობს, მას ლიცენზია უუქმდება“**

მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მას 12 წლის ვადით ეკრძალება იარაღის შეძენა, ცხადია, ნასამართლობის ვადის გაქარწყლების შემდეგ. თუ ანალოგიური დანაშაულები საქართველოს მოქალაქემ სხვა სახელმწიფოში ჩაიდინა, იქიდან მოხდა მისი დეპორტირება, მასზეც გავრცელდება ეს შეზღუდვები. ადრე ასე არ იყო, უცხოეთში, საქართველოს მოქალაქეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულიც რომ ჩაედინა, იქ მოიხდიდა სასჯელს, საქართველოში ჩამოვიდოდა და მას იარაღთან წვდომა არ ეკრძალებოდა. ასევე, თუ საქართველოს მოქალაქემ უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში დაარღვია კანონი და იქ ეს კანონდარღვევა არ ისჯება სისხლის სამართლის წესით, საქართველოში კი სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება ასეთი ქმედება, მაშინ როცა ასეთი პიროვნების დეპორტირება მოხდება იმ ქვეყნიდან, მას იარაღის შეძენის ნაბართვა არ ექნება. მოკლედ, მის მიმართ იარაღთან წვდომასთან დაკავშირებით, ქართული კანონები ამოქმედდება.

**— ახლა მთავარზე გადავიდეთ. იურიდიულმა კომიტეტმა ნაწილობრივ თავისი გაიტანა და იარაღზე წვდომის ასაკობრივი ზღვარი 23 წლის ნაცვლად, რასაც მთავრობა მოითხოვდა, 21 წლამდე ჩამოიყვანა.**

– კი, სავარაუდოდ, 21 წლიდან მიეცემათ საქართველოს მოქალაქეებს იარაღის შეძენა-ტარების ნებართვა. ამ წუთისთვის კანონპროექტში ასე წერია. მართალია, ჩვენ 18 წლიდან გვინდოდა ამის დაშვება, მაგრამ სადღაც მთავრობაც მართალია. მათ მოიყვანეს უამრავი მაგალითი ევროპის ქვეყნებიდან, ამერიკის არაერთი შტატიდან, სადაც სწორედ 21 წლიდან არის ნებადართული იარაღის შეძენა-შენახვა-ტარება.

**— ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მოთხოვნა ხომ არ იყო, რომ 21-წლიანი ზღვარი დაწესებულიყო?**

– ასოცირების ხელშეკრულების იმპერატიული მოთხოვნა არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, მაგრამ რამდენა-

*გაგრძელება მე-7 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ივანიშვილის კადრები ღარიბაშვილის კადრები არიან“



პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე საკადრო ცვლილებებს მნიშვნელოვანს უწოდებს.

„ადამიანების ცვლა არის ბუნებრივი პროცესი და თუ არის ამის საჭიროება, ეს უნდა გაკეთდეს. გადაადგილებები იქნება უფრო პოზიტივისკენ და უკეთესობისკენ, რადგან ძალიან მნიშვნელოვან გამოწვევებს უნდა ვუპასუხოთ და უნდა გავატაროთ რეფორმები ყველა სფეროში. ამისთვის, თუკი რომელიმე კონკრეტული ადამიანების ცვლილებაა საჭირო, რა თქმა უნდა, მთავრობამ ამაზე უარი არ უნდა თქვას. წინა ხელისუფლებას ეს ცვლილებები არ უნდა უკვირდეს, როცა მინისტრების დონეზე ხდებოდა ძალიან ხშირი ცვლილებები. მე ვერ გავიგე, ვინ ყოფს ამ კადრებს. საერთოდ, ბიძინა ივანიშვილის კადრები არიან ირაკლი ღარიბაშვილის კადრები. ღარიბაშვილი, ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია. კადრებად დაყოფა მიმაჩნია, რომ არასწორია. ზედმეტი აჟიოტაჟია ატეხილი და აქედანაც სკანდალის გაკეთება უნდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, – განაცხადა კობახიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერი ყოფილ მინისტრებს მადლობას უხდის



პრემიერი სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრებს დავით კირვალიძესა და შალვა ფიფიას გაწეული სამუშაოსთვის მადლობას უხდის.

„მოსახლეობა უახლოეს მომავალში იგრძნობს იმ სიკეთეს, რაც ამ დარგის განვითარებას მოჰყვება. საქართველოში სოფლის მეურნეობის მდიდარი ტრადიციები არსებობს. ქართველი გლეხი ყოველთვის გამოირჩეოდა მიწისადმი განსაკუთრებული სიყვარულით. ჩვენ ძალიან დიდი რესურსი გვაქვს იმისთვის, რომ ამ დარგმა შეასრულოს უმნიშვნელოვანესი როლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში. ამიტომაც არის სოფლის მეურნეობის განვითარება ერთ-ერთი უპირველესი მიმართულება, საიდანაც უნდა დაიწყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება. ჩვენი მიზანია, რომ გლეხები მყარად დადგნენ ფეხზე და უპასუხონ იმ ახალ ეკონომიკურ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ქვეყანა დგას და მყარად დაიმკვიდრებს ადგილს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

დაც ვიცი, ამ ხელშეკრულებაში ამგვარი რეკომენდაცია არის.

**— ეს არაერთხელ დავწერე და ადრე თქვენც გითხარით, ახლაც გაგიმეორებთ. 18 წლის ბიჭები ჯარში მსახურობენ, მრავალი სახის ცეცხლსასროლ იარაღს ვირტუოზულად ფლობენ, მერე ეს ბიჭები ჯარიდან ჩამოდიან და მათ, ელემენტარულად, პისტოლეტისა და სანადირო თოფის ფლობა ეკრძალებათ. ეს მართლა დიდი აბსურდია ამ კანონპროექტში.**

– კი, მესმის, არამხოლოდ ჯარში მსახურობენ 21 წლამდე ახალგაზრდები, პოლიციასა და სპეცსამსახურებშიც არიან, იარაღს მართლა საუცხოოდ ფლობენ და ამ ხალხს სამსახურებრივი იარაღის ტარება არ ეკრძალება და საკუთარი იარაღის შეძენა-შენახვის უფლებას ვართმევთ. აშკარა შეუსაბამობაა. პირადად მე ამ 21 წლამდე აკრძალვას არ ვეთანხმები, იურიდიული კომიტეტის სხვა წევრებიც არ ეთანხმებიან, მაგრამ ამ ეტაპზე იურიდიული კომიტეტი კომპრომისზე წავიდა და 23 წლიდან აკრძალვა 21 წლამდე ჩამოვაყვანინეთ მთავრობას. მთავრობის მთავარი არგუმენტი ევროპული ქვეყნების გამოცდილებაა. თუმცა, ჯერ ხელს ნუ ჩავიქნევთ, არ არის გამორიცხული, პლენარულ სხდომებზე ამ მხრივ რაიმე შეიცვალოს.

**— აკრძალვა ეხებოდა სანადირო თოფებსაც, ნადირობა მხოლოდ 21 წლიდან უნდა იყოს ნებადართულიო, მთავრობა აცხადებდა. ამ მხრივ, რა შეიცვალა?**

– ახლა ვცდილობთ, იმას მაინც მივაღწიოთ, რომ 21 წლამდე ადამიანს, ანუ სრულწლოვანს, 21 წლის ზემოთ მოქალაქესთან ერთად შეეძლოს ნადირობა, ოღონდ მისი ზედამხედველობის ქვეშ. დავუშვათ, მამას ჰქონდეს უფლება, შვილი წაიყვანოს სანადიროდ, მისცეს მას იარაღი და პასუხისმგებელი თავად იყოს შედეგებზე. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, იარაღი მამაზე უნდა იყოს გაფორმებული. ასევე, კონსულტაციები მიმდინარეობს ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. დავუშვათ, სოფლებში და განსაკუთრებით, მაღალმთიან რაიონებში, სანადირო თოფს გარეული ცხოველისგან თავდასაცავად იყენებენ. მოკლედ, თავდაცვის საშუალებად და ცხადია, 21 წლამდე ადამიანებიც. გარდა ამისა, ზოგიერთ მაღალმთიან რეგიონში სანადირო თოფი, ნადირობა, ელემენტარულად, ადამიანებისთვის საკვების მოპოვების საშუალებაა და ეს მცირე საშუალება, ასეთ გაჭირვებულ ქვეყანაში, ადამიანებს არ უნდა წავართვათ. რა ვუყოთ ისეთ ოჯახებს, სადაც ოჯახის ყველაზე უფროსი წევრი 21 წლის არ არის, მაგრამ სანადირო თოფით საკვებს მოიპოვებს ოჯახისთვის? მე არასწორად მიმაჩნია, ასეთ ადამიანებს ჩამოვართვათ იარაღი, მათ, ელემენტარულად, ლუკმას ვაცლით. ცხადია, ჩვენ მოვითხოვთ, რომ სანადირო თოფის ფლობა 18 წლიდან ჰქონდეს მოქალაქეს. ვნახოთ, ყველაფერს ვილონებთ, რომ ეს საკითხი ჩვენი მოქალაქეების ინტერესების შესაბამისად გადაწყდეს უკვე პარლამენტის სხდომებზე.



**„ახლა ვცდილობთ, იმას მაინც მივაღწიოთ, რომ 21 წლამდე ადამიანს, ანუ სრულწლოვანს, 21 წლის ზემოთ მოქალაქესთან ერთად შეეძლოს ნადირობა, ოღონდ მისი ზედამხედველობის ქვეშ. დავუშვათ, მამას ჰქონდეს უფლება, შვილი სანადიროდ წაიყვანოს, მისცეს მას იარაღი და პასუხისმგებელი თავად იყოს შედეგებზე. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, იარაღი მამაზე უნდა იყოს გაფორმებული“**

**„ზოგიერთ მაღალმთიან რეგიონში, სანადირო თოფი, ნადირობა, ელემენტარულად, ადამიანებისთვის საკვების მოპოვების საშუალებაა და ეს მცირე საშუალება, ასეთ გაჭირვებულ ქვეყანაში, ადამიანებს არ უნდა წავართვათ. რა ვუყოთ ისეთ ოჯახებს, სადაც ოჯახის ყველაზე უფროსი წევრი 21 წლის არ არის, მაგრამ სანადირო თოფით საკვებს მოიპოვებს ოჯახისთვის? მე არასწორად მიმაჩნია, ასეთ ადამიანებს ჩამოვართვათ იარაღი, მათ, ელემენტარულად, ლუკმას ვაცლით. ცხადია, ჩვენ მოვითხოვთ, რომ სანადირო თოფის ფლობა 18 წლიდან ჰქონდეს მოქალაქეს“**

**— ერთი სერიოზული პრობლემაც იყო კანონპროექტში. ადამიანი ვალდებული ხდებოდა, დაშლილ მდგომარეობაში შეენახა იარაღი, რაც იარაღს თავდაცვის საშუალების ფუნქციას უკარგავდა, რადგან მისი მყისიერად გამოყენების საშუალება აღარ რჩებოდა მფლობელს. თუნდაც, სახლში შეჭრილი ყაჩაღის მოსაგერიებლად. ამ ცვლილებას იურიდიული კომიტეტი არ ეთანხმებოდა. შეცვალეთ რამე?**

– კი, ეს მართლა ძალიან დიდი გაუგებრობაა და ჯერ არ გადაწყვეტილა, რა და როგორ იქნება. ჩვენ მთავრობას მივეცით მრავალი რეკომენდაცია. როგორც ხედავთ, ბევრი გაითვალისწინა, მაგრამ ამას არ ვიცი, გაითვალისწინებენ თუ არა. მთავრობა აპელირებს იმით, რომ იარაღი თავისთავად დიდი საფრთხის შემცველია და დაშლილ მდგომარეობაში ამიტომ უნდა იყოს. კომიტეტმა იუსტიციისა და შს სამინისტროს ეს მოთხოვნა, ასე ვთქვათ, ამ ეტაპზე გაატარა იმ პირობით, რომ ამ მუხლის განხილვა გაგრძელდება სხვა კომიტეტებში, პარლამენტის პლენარულ სესიაზე და მარტო ერთი, იურიდიული კომიტეტი არ იქნება პასუხისმგებელი, სხვებმაც გაინაწილონ ეს პასუხისმგებლობა.

**— იმ ხალხს რას უშვრებით, ვინც 21 წლის არ არის და უკვე შეძენილი აქვს ცეცხლსასროლი იარაღი? ცხადია, მათ ჩამოერთმევათ იარაღი და მთავრობა კომპენსაციას მისცემს? თუ მისცემს, რა სახით? ანდა ვისაც საკოლექციო ან რელიქვიური იარაღი აქვს და ეს 21 წელი ჯერ არ შესრულებია, რა უნდა უყონ მათ ამ იარაღს?**

– ასეთ შემთხვევაში, ამ ადამიანებს აქვთ უფლება, გააჩუქონ ან გაყიდონ იარაღი, მაგრამ, ცხადია, ეს არ არის საუკეთესო გამოსავალი. ამიტომ ჩვენ კანონში შეღავათები გავითვალისწინეთ. ვინც 21 წლის ჯერ არ გამხდარა და იარაღი აქვს სახლში, მას უფლება ეძლევა, საკუთარ ახლობელზე, ვისაც ასაკიდან გამომდინარე ეკუთვნის იარაღის ლიცენზია, ან უკვე აქვს ის, გადააფორმოს ეს იარაღი და მის სახლში შეინახოს, სანამ 21 წლის გახდება. ან საკუთარი ოჯახის რომელიმე წევრს გადაუფორმოს დროებით, მერე კი ადგება და ისევ უკან გადმოიფორმებს. ეს ეხება საკოლექციო და რელიქვიურ იარაღსაც. თუ პიროვნებამ ესეც ვერ მოახერხა, მას არავინ წაართმევს იარაღს. დროებით ჩამოერთმევა, შსს-ს სპეცსაცავში შეინახება და 21 წლისა შესრულდება თუ არა, შეუძლია, ლიცენზია აიღოს და იარაღი დაიბრუნოს. კი, აქ ჩნდება სამინისტროს საცავში ამ იარაღის შენახვის პრობლემა, მას პატრონივით არავინ მოუვლის, საცავში შეიძლება იყოს ნესტი, იარაღი დაიჟანგოს და სხვა პრობლემებიც გამოჩნდეს, მაგრამ სადღეისოდ უკეთესი გამოსავალი ვერ მოიძებნა. აქედან გამომდინარე, კომპენსაციის საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან, რაკილა დროებით ჩამოერთმევა იარაღი, მის კონფისკაციაზე ლაპარაკი აღარ არის.

**— იარაღით ვაჭრობის წესებში თუ შეიცვალა რამე?**

– მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ინდმეწარმეს, ან იურიდიული ფირმის დამფუძნებლებს, ვინც იარაღით ივაჭრებს, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნასამართლობის ცნობის შესაბამის ორგანოებში წარდგენის შემთხვევაში მიეცემათ ამ საქმიანობის განხორციელების უფლება. ანალოგიური მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ მათაც, ვინც საქართველოში დაამზადებს იარაღს. სხვა, ახალი შეზღუდვები, ამ მხრივ, არ დაწესებულა.

დაბოლოს, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „ალიას“. თქვენ პირველებმა შენიშნეთ უამრავი ხარვეზი „იარაღის შესახებ კანონში“, თქვენ პირველებმა მიუთითეთ მთავრობას კანონპროექტში არსებულ ნაკლოვანებებზე. სიმართლე გითხრათ, მე პირადად „ალიას“ ყველა ის სტატია წაკითხული მაქვს, რომელიც ამ თემაზე გამოაქვეყნეთ. რა საკითხებიც თქვენ დააყენეთ, ყველა სამართლიანი იყო და ჩვენი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. მე, პირადად, ყველა ის ხარვეზი, რაზეც თქვენ წერდით, რომ კანონში არსებობდა, კომიტეტის სხდომაზე დავაყენე და არაერთხელ. ნუ, აქედან ზოგი გავიტანეთ, ზოგი – ვერა და ზოგი – ნაწილობრივ. მადლობა მინდა გითხრათ, რომ ასე პროფესიულად და ოპერატიულად ხართ ჩართულნი ამ საკითხში და მნიშვნელოვან, მართლა პროფესიონალურ შენიშვნებსაც გვთავაზობთ.

**„დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „ალიას“. თქვენ პირველებმა შენიშნეთ უამრავი ხარვეზი „იარაღის შესახებ კანონში“, თქვენ პირველებმა მიუთითეთ მთავრობას კანონპროექტში არსებულ ნაკლოვანებებზე. სიმართლე გითხრათ, მე პირადად „ალიას“ ყველა ის სტატია წაკითხული მაქვს, რომელიც ამ თემაზე გამოაქვეყნეთ. რა საკითხებიც თქვენ დააყენეთ, ყველა სამართლიანი იყო და ჩვენი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. მე, პირადად, ყველა ის ხარვეზი, რაზეც თქვენ წერდით, რომ კანონში არსებობდა, კომიტეტის სხდომაზე დავაყენე და არაერთხელ. ნუ, აქედან ზოგი გავიტანეთ, ზოგი — ვერა და ზოგი — ნაწილობრივ. მადლობა მინდა გითხრათ, რომ ასე პროფესიულად და ოპერატიულად ხართ ჩართულნი ამ საკითხში და მნიშვნელოვან, მართლა პროფესიონალურ შენიშვნებსაც გვთავაზობთ“**

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აგენტობაში დადანაშაულებული დევდარიანი სააკაშვილსა და თარგამაძეს სახელმწიფო ღალატისთვის უჩივის



საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელი შევიდა. სარჩელის ავტორი, სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი ლეონარდო დევდარიანი ყოფილ მაღალჩინოსნებს ახალგორის გაყიდვასა და სახელმწიფოს ღალატში ადანაშაულებს.

„მე პროკურატურაში დავაყენე საკითხი თარგამაძის, სააკაშვილის და მათი ხროვის წინააღმდეგ. ისინი 2008 წლის ომის დროს სახელმწიფო ღალატში დავადანაშაულე. საგამოძიებო უწყებაში სარჩელი შევიტანე. მათი დანაშაულია ახალგორის გაყიდვა და ბიზნესის გაკეთება საქართველოს ტერიტორიისა და გაუბედურებული მოსახლეობის ხარჯზე", – განაცხადა დევდარიანმა.

ის, ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს გივი თარგამაძეს ცილისწამების გამო სთხოვს პასუხს. საუბარია დეპუტატის მიერ გადაცემა „არჩევანში“ გაკეთებულ განცხადებაზე, სადაც თარგამაძემ ლეონარდო დევდარიანი „ეფესბეს“ აგენტად მოიხსენია და თქვა, რომ მას ირაკლი ღარიბაშვილი მფარველობს.

„ასევე, ამ განცხადების გამოც ვუჩივლებ გივი თარგამაძეს, ეს ყველაფერი სარჩელში წერია. მოვითხოვე პასუხი ცილისწამებასა და სახელმწიფო ღალატზე. ეს არის შურისძიება ჩემზე, რადგან მე 2008 წელს მათი ღალატის შესახებ ვთქვი და ეს საკითხი დავაყენე. ირაკლი ღარიბაშვილს საერთოდ არ ვიცნობ, ვიცნობ ტელევიზიიდან. რაც შეეხება ბესიკ დევდარიანზე გაკეთებულ განცხადებას, ბატონი ბესიკი ჩემი ძმისშვილი არ არის, ჩემი ნათესავია. გივი თარგამაძე არის შეურაცხადი და შეურაცხადი ადამიანის ბოდვას რა უნდა ვუპასუხო“, – ამბობს დევდარიანი.
(ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლარი გამყარებას განაგრძობს



ლარის კურსი გამყარებას განაგრძობს. ხვალიდან საქართველოს ეროვნული ვალუტა კიდევ 5 პუნქტით გამყარდება. ლარის ოფიციალური გაცვლის კურსი დოლართან მიმართებაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაადგინა. 12 დეკემბრიდან 1 ლარის შეძენა 1.84 ლარად იქნება შესაძლებელი.
(ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბუნებრივი გაზის ქსელზე მიერთების 400-ლარიანი პაკეტის მოქმედების არეალი გაიზარდა



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გაზარდა იმ გაზიფიცირებულ დასახლებათა ჩამონათვალი, სადაც ბუნებრივი გაზის ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური 400 ლარს შეადგენს.

ცვლილებების თანახმად, არსებულ სიას 47 დასახლებული პუნქტი დაემატა:

კახეთი: სოფ. ქვემო ალვანი; სოფ. ხოდაშენი; სოფ. აწყური; სოფ. გურჯაანი; სოფ. ქვემო მაჩხაანი; სოფ. ვარდისუბანი;

ქვემო ქართლი: მარნეული – სოფ. ენიკენდი; სოფ. ახლომახმუდლო; სოფ. კიროვკა; გარდაბანი – სოფ. ნაგები; სოფ. ალტაკლია; დმანისი – სოფ. კაკლიანი.

შიდა ქართლი: ხაშური – სოფ. ბულბულისციხე; სოფ. ბელლეთი; სოფ. მონასტერი; გორი – სოფ. რეხა; სოფ. ბერბუკი; ქარელი – სოფ. ქვენადკოცა; სოფ. ქვემო ხედურეთი; სოფ. სანებელი; კასპი – სოფ. კოდისწყარო; სოფ. ზემო რენე; სოფ. სადგ. მეტეხი; წილკნის დევნილები; სოფ. ფრეზეთი; სოფ. მიქელწყარო; სოფ. წილკანი.

მცხეთა თიანეთი: დუშეთი – სოფ. ბაქაქური; სოფ. ილტოზა; სოფ. ბაზალეთი; სოფ. ჭოპორტი; სოფ. ბიჩნიგაური; დაბა ფასანაური; მცხეთა – სოფ. ძეგვი; სოფ. ძალისი; სოფ. ჭაშა; წეროვანის კვლევითი ინსტიტუტის დასახლება; თიანეთი – სოფ. თუშურები; სოფ. ზარიძეები; ყაზბეგი – სოფ. ფხელშე;

იმერეთი: ვანი – სოფ. შუამთა; სოფ. ჭაგანჭყვიში; ზესტაფონი – სოფ. კვალითი; წყალტუბო – სოფ. მეორე უბანი; თერჯოლა – სოფ. ახალი უბანი; სამტრედია – სოფ. ახალსოფელი.

სრულად გაზიფიცირებულ დასახლებათა ჩამონათვალს, რომლებსაც შეეხება ბუნებრივი გაზის ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების 400- ლარიანი ტარიფი, ეტაპობრივად დაემატება ახალი გაზიფიცირებული დასახლებები. (ინტერპრესნიუსი)

# სამინისტრო პედაგოგებს გროშებს ამადლის, 53 მაღალჩინოსანზე კი 89 736 ლარი პრემია გამოწერეს

**რა თანხებია გაცემული ოქტომბერ-ნოემბერში განათლების სამინისტროში მინისტრის მოადგილეებზე, დეპარტამენტების ხელმძღვანელებსა და სამმართველოს უფროსებზე? რა პრემიები ეძლევათ უშტატო თანამშრომლებს?**

**„ალია“ კომენტარისთვის პედაგოგ დავით ფერაძეს დაუკავშირდა:**



– მე მაქვს სამინისტროს ცნობა და თვალში მოსახვედრია მათი თანხები. ამ ინფორმაციის კანონიერ მხარეს არ ვეხები, მე საკითხის მორალურ მხარეზე ვამახვილებ ყურადღებას. როცა ლაპარაკია იმაზე, რომ სამინისტრო პედაგოგს ხელფასს ვერ უზრდის, რადგანაც, განათლების მინისტრის თქმით, ეს ზიანს მიაყენებს ბიუჯეტს, საზოგადოებამ უნდა შეადაროს სამინისტროს თანხები მასწავლებლების ხელფასებს, ნახონ, რა სხვაობაა მა- წავლებლებისა და სამინისტროს თ- შრომელთა ხელფასებს შორის. ინფორ- დასტურდება, რომ 53 მაღალჩ- მუშაობს, მინისტრის ჩათვლით, სა- ში: მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები და სამმართველოების უფროსები. გარდა ამისა, სამინისტროში კიდევ მუშაობს ე.წ. წვრილფეხობაც – სპეციალისტები, მთავარი სპეციალისტები და სხვა. მოადგილეებსა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებზე გაცემულია პრემია 89 736 ლარი. მთლიანობაში კი მაღალჩინოსნებზე გაცემულმა დანამატმა და პრემიამ შეადგინა 761 920 ლარი, ესაა ხელფასების გარდა მიღებული თანხა. ეს თანხა ჯამში უდრის 2 500-მდე პედაგოგის საბაზისო ხელფასის ოდენობას. ახლა გადავიდეთ დანარჩენ საშტატო თანამშრომლებზე, მათზე 128 740 ლარის პრემიაა გაცემული ორი თვის განმავლობაში. საინტერესო ისაა, რომ არასაშტატო ხალხზეც გაიცემა პრემია.

**— არასაშტატო თანამშრომლებზე?**

– მეც გამიკვირდა, იურისტი არ ვარ და ეგება ვცდები, ამიხსნას ვინმემ, რას ნიშნავს არასაშტატო თანამშრომლის პრემია? ასეთ თანამშრომლებს, წესით, უკვეთ რაიმე სამუშაოს შესრულებას და უხდი ანაზღაურებას. ამ სამინისტროში კი მოყოლებული შარშანდელიდან, სულ ხდება არასაშტატო ხალხზე პრემიების გაცემა და ეს თანხა შეადგენს 74 112 ლარს. მთლიანობაში რომ შევაჯეროთ საშტატო და არასაშტატო თანამშრომლები, ჯამში, ამ პრემიების რაოდენობა შეადგენს 202 852 ლარს, ხოლო მთლიან უწყებაზე ორ თვეში ხელფასებიან, დანამატებიან, პრემიებიანად გაცემულია 2 264 276 ლარი. ეს არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც გასაგებია, რომ ვერ დამალავდნენ.

**— მინისტრზე რამდენია გამოწერილი?**

– არ გამოუწერა თავის თავს პრემია მინისტრმა, მაგრამ, როგორც ჩემმა წყარომ მითხრა, რასაც მე დოკუმენტურად ვერ დავამტკიცებ, რადგანაც ჩემს წყაროებს ვერ ვასახელებ, მაგრამ გეტყვით, რა გადაითამაშა მინისტრმა: იმის გამო, რომ დაემალა და არ ჩაექოლათ მასწავლებლებს, ადგა და ერთ-ერთ თანამშრომელს, თუ არ ვცდები მრჩეველს თუ თანაშემწეს, გადაურიცხა 100000 ლარი.

**— და დოკუმენტში ჩანს, რა გააკეთა ამ პირმა ამხელა თანხისთვის?**

– ასეთი შემთხვევა მითხრეს, რომ უკვე მოხდა, როცა, თუ არ ვცდები, ვინმე ჩემიას გადაურიცხეს 160 000 ლარი, თუ რამდენიღაც, ზუსტად არ ვიცი, და ითქვა, რომ ეს ფული მას გრანტიდან მოეხსნაო. სანიკიძემ ადრე 6000 ლარი აიღო პრემიის სახით და ამ 100 000-დან ის უფრო გემრიელ ლუკმას არ „მოტეხავდა“? ვიმეორებ, ეს წყაროს ინფორმაციაა, მაგრამ -არა მგონია, მას ჩემთვის მო- -ეებინა. მაგრამ სამინ- -როში რომ იკითხ- გეტყვიან, რა -ელეაო, იმდე- -ვი ბულალ- . ეგ მაინც -ეშლება -ეს და -ამო- -ეა. ბი მიდის ამათ ჯიბეში და ჩვენ კი გვეუბნებიან, მასწავლებლებისთვის სად გვაქვს ფულიო, ესაა სამართალი?

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ნატა ასათიანს კითხვით, რამდენად შეესაბამება სანიკიძის მიმართ ფერაძის ბრალდება სინამდვილეს.**

– ენას ძვალი არა აქვს, გავიგე, მაგრამ ეს იმხელა ცრუ ბრალდებაა და ისეთი ცილისწამებაა, რომ მართლა შეიძლება, დავით ფერაძეს ვუჩივლოთ, რადგანაც თანაშემწეს სახელი და გვარი აქვს, ძალიან მარტივად შეიძლება ამის დადგენა და ის ადამიანი ძალზე შეურაცხყოფილია ამ ბრალდებით. აქ იმხელა თანხაზეა საუბარი, თან იმდენად უსაფუძვლოდ, რომ სხვა დანარჩენზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

# რა შუაშია ბიძინა ივანიშვილი ფსიქიატრიულთან დაწყებულ მშენებლობასთან?

**„ლეიბორისტები“ თბილისში, ასათიანის ქუჩაზე, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობას აპროტესტებენ. „ის ვანდალიზმი, რომელიც ამ ტერიტორიაზე ხორციელდება, არის ნამდვილი სახე მილიარდერი ოლიგარქისა, რომელიც ქვეყანასაა მომჯდარი. მოვუწოდებთ ქვეყნის რეალურ მმართველ ბიძინა ივანიშვილს, ხელი აიღოს ამ გადაწყვეტილებაზე და დატოვოს რეკრეაციული ზონა, რომელიც ასე მწირია და მცირეა თბილისში“. — აცხადებს გიორგი გუგავა.**

**„ალიას“ გიორგი გუგავა ესაუბრა:**

**— ბიძინა ივანიშვილს რას ერჩით, ადგილობრივი მოსახლეობა ამბობდა, რომ ამ მშენებლობას უცხოელები აწარმოებენ.**

– სწორედ მოსახლეობასთან ერთად ვაპროტესტებთ თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილზე რეკრეაციული ზონის განადგურების მცდელობას. დაპირება იყო, მეტი რეკრეაციული ზონა უნდა შექმნილიყო, რომ ხალხს ამოსუნთქვის საშუალება ჰქონოდა. ამ დროს ყველაფერი პირიქით ხდება. ამ მშენებლობას აწარმოებს მიხეილ ბრუდნო, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესპარტნიორი რუსეთში, მაშინ, როცა ის რუსეთში მოღვაწეობდა და როგორც ჩანს, მათი ერთობლივი პროექტია ეს. ეს რუსი ბიზნესმენი აპირებს 30-სართულიანი 8 კორპუსის აშენებას. ამით ის არა მარტო რეკრეაციულ ზონას სპობს, არამედ საზოგადოებას გადაადგილების პრობლემასაც უქმნის. ეს არის ურბანული კატასტროფის ფასი, მხოლოდ იმისთვის, რომ მილიონერთა დასახლება ააშენონ, მილიარდს მილიარდი დაამატონ, ხოლო საზოგადოების ინტერესი ნიველირებულია. ამ საქმეში ყველაზე საოცარი იცით, რა არის? ამ მშენებლობასთან დაკავშირებულ ყიდვა-გაყიდვას, მშენებლობის პროექტს, ამ საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს.



**— გრიფი რატომ ადევს?**

– არ ვიცი. გრიფი „საიდუმლო“, შეიძლება დაედოს სახელმწიფო საიდუმლოებას, მაგრამ როგორ შეიძლება საჯარო სივრცეში რეკრეაციული ზონა ნადგურდება და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ადევს გრიფი, პირიქით, კანონით გათვალისწინებული ნორმები არსებობს, რომ მშენებლობის შესახებ წინასწარ უნდა იყოს პროექტი ხალხისთვის თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული. მისი დამკვეთისა და შემსრულებლის მითითებით. მაგრამ რადგან ადევს, ხომ ხვდებით, რა მაღალი რანგის ინტერესები არსებობს ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე და მშენებლობაზე?! სხვათა შორის, ეს ტერიტორია მაშინ გაასხვისეს, როცა იპოდრომის გასხვისება მოხდა, როგორც იპოდრომი იყიდა ივანიშვილმა, რაზეც ჩვენთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, ასევე ინტერესები გამოიკვეთა აქ.

**— ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ იმიტომ აკავშირებთ ამ მშენებლობასთან, რომ რუსი ბიზნესმენი აშენებს?**

– არამარტო ამიტომ, ეს კაცი, მისი ბიზნესპარტნიორი იყო, ამ ბიზნესმენს რომ არ ჰქონდეს ყველაზე გავლენიანი ადამიანის მხარდაჭერა, თბილისის ცენტრში, ასეთ უპრეცედენტო უკანონობას ვერ ჩაიდენდა. ბიძინა ივანიშვილს, ზოგადად ასეთი საქმიანობისკენ განსაკუთრებული მიდრეკილებაც აქვს. გაიხსენეთ, როგორ გაიჩეხა ბოტანიკურ ბაღში ხეები და როგორ აპირებს იქ მშენებლობას, იგივე იპოდრომი როგორ გაანადგურა და დახურა. არ არის ეს მისთვის უცხო.

**— განცხადებების გაკეთების გარდა რამეს აპირებთ?**

– ამ საკითხზე მიმდინარეობს სასამართლო პროცესები, მოსახლეობის სარჩელი განიხილება, მშენებლობის შეჩერების მოთხოვნასთან დაკავშირებით. მერიის მიერ გაცემული ნებართვის შეჩერებას მოითხოვენ მაცხოვრებლები. ასევე, ითხოვენ, რომ ამ პროექტს მოეხსნას გრიფი „საიდუმლო“.

**დიანა ლიპარტელიანი**
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თბილისში 34 წლის მამაკაცი მოკლეს




შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს, ძველი თბილისისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული ნოდარ ნ. მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღმაშენებლის გამზირის 89/24-ში, „ქალაქპროექტის“ შენობაში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ნოდარ ნ-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა 1980 წელს დაბადებული ალექსანდრე გ.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, ადგილზევე დააკავეს. მკვლელობის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## 2015 წლის ბიუჯეტს პარლამენტი დღეს დაამტკიცებს



2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტს პარლამენტი დღეს განიხილავს და დაამტკიცებს. მომავალი წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს პარლამენტს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური წარუდგენს. საბიუჯეტო პროექტის ბოლო, კორექტირებული ვერსია პარლამენტს ნოემბრის ბოლოს წარედგინა და ის განსახილველად პირდაპირ სესიაზე გადის.

2015 წლის ბიუჯეტის პროექტით, შემოსულობები 9 მილიარდ 875 მილიონი ლარია. გადასახდელები კი, 9 მილიარდ 575 მილიონით განისაზღვრა.

2015 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 5.0%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 4,0%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში, ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5,5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3,5%-4,0%-ის ფარგლებში. მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2015 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 31,9 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2018 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 41,9 მლრდ ლარამდე. კანონპროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით, 140,0 მლნ ლარით გაზრდილია საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი და 8 030,0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2014 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 800,0 მლნ ლარით აღემატება, ხოლო მშპ-ს 25,2%-ს შეადგენს.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 090.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 160.0 მლნ ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2014 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით 780.0 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 140.0 მლნ ლარითაა გაზრდილი და 7 600.0 მლნ ლარს შეადგენს.

2015 წლისთვის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 215.0 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო გრანტები 115.0 მლნ ლარი (პირველად ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 30,0 მლნ ლარით), ხოლო საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები 100.0 მლნ ლარი (პირველად ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 5,0 მლნ ლარით).

2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი ბიუჯეტის პირველ წარდგენასთან შედარებით შემცირებულია 15.0 მლნ ლარით და განსაზღვრულია 275.0 მლნ ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში ასახულია პენსიის 10 ლარით – 160 ლარამდე გაზრდა, რის განხორციელებასაც მთავრობა 2015 წლის 1-ლი სექტემბრიდან აპირებს. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველო ავტომობილების წარმოებას იწყებს!

**ნათია მიქელაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველოში ავტომობილების წარმოება არ ხორციელდება, რამდენიმე კომპანიამ უკვე გამოთქვა სურვილი, საქართველოში დაიწყოს აღნიშნული პროდუქციის წარმოება.**

**როდიდან დაიწყება ქართული ავტომობილის წარმოება? რომელი ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსული ინვესტორები? რა ეტაპია დარჩენილი და რატომ ასაიდუმლოებენ საავტომობილო ბრენდს, რომელიც საქართველოში იწარმოება?**

„ალიას“ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, **ნათია მიქელაძე** ესაუბრა:




**— რომელი კომპანიები აპირებენ შემოსვლას?**

– კომპანიების კონკრეტულ დასახელებებზე ჯერ თავს შევიკავებთ, თვითონ მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

**— დასამალი რა არის, პირიქით, მისასალმებელია, თუკი ჩვენთან წარმოების დაწყება გადაწყვიტეს.**

– სანამ ამ კომპანიების წინადადებები დამუშავდება, მანამდე თავს შევიკავებ მათი დასახელებისგან. თავად შეთანხმებაზე გეტყვით ორიოდ სიტყვას, ძირითადი არსი ამ შეთანხმების არის შემდეგი: შეიძლება სურვილი მიერთებისა აქამდეც კი იყო გამოთქმული, მაგრამ მანქანების აქ აწყობისა და მათი სათადარიგო ნაწილების საქართველოში გადმოტანის საშუალება არ გვქონდა, რადგანაც ეს რომ გააკეთო, ამისთვის ქვეყანას უნდა ჰქონდეს მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდი. ჩვენი შეთანხმება ამას უზრუნველყოფს და ეს გზა ჩვენ უკვე გაგვეხსნა. უკვე ორი წელია ამ თემაზე ვმუშაობთ და მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენთან იყვნენ ჩამოსული წარმომადგენლები ჰოლანდიური და ასევე, შვედური კომპანიებიდან, რომლებმაც ინტერესი გამოხატეს ურთიერთობის.

**— შვედური კომპანიიდან „ვოლვოს“ წარმომადგენელი იყო?**

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კომპანიების დასახელებისგან თავს შევიკავებ ამ ეტაპზე. მოვა დრო და, როდესაც ამ თემასთან დაკავშირებით წინ გადადგმული ნაბიჯი გვექნება, აუცილებლად დავასახელებ. მოკლედ, ამ კომპანიებს სურთ, საქართველოში დაიწყოს ავტობუსების წარმოება, მათ სურთ, აქ ჩამოიტანონ თავისი ქარხანა და საქართველოში დაიწყონ წარმოება. ასევე, საუბარია სათადარიგო ნაწილების წარმოებაზეც, ანუ შეიქმნება ბაზა, რომ იყოს ადგილობრივი ქარხნები. ეს არის პირველი ნაბიჯი გადადგმული ამ საქმეში და შემდეგ უკვე გამოჩნდება სხვა დანარჩენი კომპანიებიც.

**— თქვენ ამბობთ, ადგილზე უნდა მოხდეს ავტომანქანების აწყობაო, მაგრამ ჩვენ ხომ შესაბამისი სპეციალისტები არ გვყავს და საიდან მოვიყვანთ მუშახელს? ეს უცხოური კომპანიები თავისას ჩამოიყვანენ?**

– არა, რა თქმა უნდა. ჩვენი მთავარი პირობა ის არის, რომ აქ დასაქმდეს სწორედ ქართველი მუშახელი. თუ ისინი გვეტყვიან, რომ ჩვენ არ გვყავს შესაბამისი მუშახელი და სპეციალისტი, მაშინ ვეუბნებით, რომ თქვენ გადაამზადეთ, ეს თქვენ უზრუნველყავით ან ადგილზე, ან თქვენს ქვეყნებში შეასწავლეთ.

**— როდიდან დაიწყება ეს საქმე?**

– ვერც დროს გეუბნებით კონკრეტულად, მე ვიცი, რომ ჯერჯერობით მიმდინარეობს ტერიტორიისა და ფართის შერჩევის პროცესი, რადგანაც ამ ქარხნებს საკმაოდ დიდი ტერიტორია დასჭირდებათ.

**— მე ვიცი, რომ ერთი ასეთი ფართი დიდ დიღომშია შერჩეული, სადაც ავტობუსები უნდა დამზადდეს, ამაზე ვწერდით.**

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. შესაძლებელია, არ გამოვრიცხავ, რომ დიდი დიღომიც იყოს. ჩვენ მიერ ნაწარმოებ მანქანას უნდა მივანიჭოთ გარკვეული კვოტები და საერთაშორისო სტანდარტით იყოს ის აღიარებული და მალე ჩვენ გვექნება ჩვენ მიერ წარმოებული ტრანსპორტი.

**— ანუ ჩვენ შეგვეძლება ისეთი ტრანსპორტის წარმოება, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე სტანდარტებს დააკმაყოფილებს?**

– რა თქმა უნდა. ნამდვილად ეს იქნება ევროპული დონის ტრანსპორტი და არა კუსტარული თვითმავლები. ეს იქნება სატრანსპორტო საშუალება, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო დონეს. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ ინვესტორს კომფორტულ გარემოს ვთავაზობთ: გათვალისწინებული იქნება საგადასახადო რეჟიმი, დასასაქმებელი ხალხი და სხვა კომპონენტები. ძალიან დიდი ენთუზიაზმით ვარ და ვერ წარმომიდგენია, მსგავსი შეთანხმება აქამდე რატომ არ დაიდო ამ ქვეყნებთან? რატომ არ შეიძლება, ჩვენ გვქონდეს ქართული მანქანა, რომელიც ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის ნაწილი იქნება? მოკლედ, მალე ჩვენ გვეყოლება ქართული ავტომობილის ბრენდი და აუცილებლად ვაწარმოებთ მათ სათადარიგო ნაწილებსაც.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

## რატომ იმატა „წითელას“ შემთხვევებმა?

**სპეციალისტების ინფორმაციით, ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი საკმაოდ მაღალია, ბოლო დროს გახშირებულია „წითელას“ ვირუსი, რომლის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება პირადი ჰიგიენის დაცვა და ვაქცინაციაა.**

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტში აცხადებენ, რომ „წითელას“ გავრცელების რისკი საკმაოდ მაღალია და მოსახლეობას მოუწოდებენ, აუცილებლად მიიღონ საჭირო ვაქცინის დოზა. 2013 წლიდან საქართველოში „წითელას“ 11 ათასზე მეტი შემთხვევა დარეგისტრირდა, რაც, სპეციალისტების თქმით, ძალიან მაღალი მაჩვენებელია.**

**„ალიას“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, პაატა იმნაძე ესაუბრა:**



**— ბატონო პაატა, რამ გამოიწვია „წითელას“ ვირუსის გახშირება?**

– „წითელას“ ვირუსის გავრცელება შარშან დაიწყო. შარშან 8 000 შემთხვევა იყო დაახლოებით. წელს უკვე „წითელას“ 3 000 შემთხვევაა დაფიქსირებული. რაც შეეხება გამომწვევ მიზეზებს, ეს გამოწვეულია იმით, რომ მოზრდილები არ არიან აცრილები. ბავშვებში არ გვხვდება, იმიტომ, რომ ისინი აცრილები არიან. ვეხვეწებით მოზრდილებს, რომ აიცრან და არ იცრებიან და რა ვქნათ ახლა?!

**— რა ასაკის ადამიანებშია გახშირებული?**

– 18-დან 35 წლამდე ასაკის ადამიანებში.

**— „წითელას“ ვირუსი გადამდებია?**

– ვირუსებს შორის, რაც კი არსებობს დედამიწაზე, „წითელა“ ყველაზე გადამდებია.

**— როგორ უნდა შევატყოთ, აქვს თუ არა ადამიანს ეს ვირუსი, რომ მოვერიდოთ, რა სიმპტომებია დამახასიათებელი?**

– „წითელას“ სიპტომები ნებისმიერმა ბებიამ იცის საქართველოში. ეს სიმპტომი არის გამონაყარი. „წითელაა“ თუ „წითურა“, ვერ გაარჩევ, მაგრამ გამონაყარი ექნება და მიხვდებით, რომ ავადაა. ვაქცინა ერთისგანაც იცავს და მეორისგანაც.

**— ვაქცინაცია ფასიანია თუ უფასო?**

– ვაქცინაცია არის უფასო.

**— ასაკობრივი ზღვარი თუ არის დადგენილი?**

– ასაკობრივი ზღვარი არ არის დადგენილი, მაგრამ საშუალო ასაკის ხალხს არ სჭირდება, ან აცრილები არიან, ან გადატანილი აქვთ უკვე. ეს ვაქცინაცია სავალდებულოა ახალგაზრდებისთვის, იმათთვის, ვინც უფროს კლასებში სწავლობენ, ასევე სტუდენტებისთვის... ზოგადად, სავალდებულოა 30 წლამდე მაინც. მით უმეტეს, თუ მშობიარობას აპირებს ვინმე, განსაკუთრებით გოგონებს მივმართავ, მშობიარობის პერიოდში „წითურა“ თუ დაემართათ, ეს უკვე განაჩენია ნაყოფისთვის. ამიტომ ვურჩევთ, აიცრან, სანამ დაორსულდებიან.

**დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## თბილისში ერთმანეთს ორი ავტომობილი და სამარშრუტო ტაქსი შეეჯახა




რუსთავი-თბილისის გზაზე ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი და სამარშრუტო ტაქსი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად მსუბუქი დაზიანებები მიიღეს ავტომობილისა და სამარშრუტო ტაქსის მგზავრებმა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წესის დარღვევას, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებით ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


**თბილისის საკრებულოს „ნაციონალი" დეპუტატის, ირაკლი აბესაძის განცხადებით, მერიაში კორუფციას სისტემური ხასიათი აქვს და ხელშეკრულებებს ტენდერების გარეშე აფორმებენ:**

**„ალბათ, თბილისის მერი დააყენებს პასუხისმგებლობის საკითხს, ჩვენ ამის მოლოდინი გვაქვს. სხვა შემთხვევაში, თუკი ეს ფაქტები გაგრძელდება, მას მოუწევს, ჯერ პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება, ხოლო შემდგომ, თუკი ფაქტები დადასტურდება, შეიძლება მის მიმართაც დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა".**

ბელმა კომპანიებმა უნდა ივაჭრონ თანხაზე, ანუ თანხის შემცირებაზე მსჯელობის შემდეგ უნდა გამოვლინდეს გამარჯვებული კომპანია. ამ ყველაფერზე თბილისის მერიამ უარი თქვა.

**— რა მოტივაციით?**

– გაფორმებული ხელშეკრულებების მინიმუმ ნახევარი არის წინასწარი მოლაპარაკებებით გაფორმებული, ანუ პირდაპირი შერჩევის წესით. ისინი თავად არჩევენ 29 ხელშეკრულება არის გაფორმებული ერთ პირთან, ტენდერში საშუალო ფასის კლება არის 14%. როცა 8-მილიონიანი ტენდერია გაფორმებული, მინიმუმ 1 მილიონი ლარი ამით არის გაფლანგული მხოლოდ იმიტომ, რომ ტენდერი არ არის ჩატარებული. კანონით შეიძლება უტენდეროდ სამუშაოების წარმოება და შეიძლება მიეთითოს, რომ „ფორსმაჟორული" შემთხვევაა, ვერ ითმენ, რომ სატენდერო ვადები დაგამოყოფა თეორიულადაც კი.

**— თქვენი სარევიზიო სამსახური და მერიის შიდა აუდიტი რას აკეთებს?**

– სარევიზიო სამსახური თავად აძლევს თანხმობას „ფორსმაჟორზე" და როცა ვეუბნებით, ეს არის დამღუპველი-თქო, გვეუბნებიან, აბა რა ვქნათო? აგვისტოში ჩვენ საგზაო სამუშაოების ყველა ტენდერი დავახვედრეთ. როცა გადავაბარეთ, მოვიდნენ და თქვეს, არაკვალიფიციურად არის ჩატარებულიო, პირობეგრამ ასფალტის სამუშაოების გამოცდილება არ აქვს. ერთი თვეა, ავანსი ჯიბეში უდევს და არაფერს აკეთებს. თუ „თბილისობის" შემთხვევაში ვსაუბრობთ ათასობით ლარზე, აქ ვსაუბრობთ მილიონობით ლარზე.

**„ალია" საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ნუგზარ მალაღურაძეს დაუკავშირდა:**

# კორუფციული გარიგებები ნარმანიასაც დაუწყია?

**რატომ აფორმებს მერია ხელშეკრულებებს ტენდერის გარეშე? რა კორუფციულ სქემებზე ალაპარაკდა საკრებულოს დეპუტატი? რა სამუშაოები არ შეასრულა კომპანიამ, რომელსაც ავანსად 897 000 ლარი ჩაერიცხა.**

**„ალიას" ირაკლი აბესაძე ესაუბრა:**



**— ბატონო ირაკლი, კონკრეტულად რა დარღვევებზე საუბრობთ?**

– პირველ რიგში, მერიასთან მიმართებაში საყურადღებოა ბიუჯეტის ხარჯვის პროცესში აღმოჩენილი დარღვევები. საყურადღებოა ის, რომ უაზროდ იქნა გაბერილი შტატები მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა. კარგად გემახსოვრებათ, მუდმივად იყო საუბრები ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რომ მერიაში შტატები გაბერილი იყო და თბილისის ახალი მერი ყოველდღიურად ზრდის ამ შტატებს. მომავალ წელს კიდევ 231 ერთეულით იზრდება თბილისის მერიაში მომუშავეთა რიცხვი. ეს არის კორუფცია და ბიუჯეტის პირად ინტერესზე მორგება. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ დარღვევის სათავე მოდის იქიდან, რომ მერიამ, ფაქტობრივად, უარი თქვა ტენდერებზე. მერია ვალდებულია, თანხა დახარჯოს ტენდერით, კონკურენტუნარიან გარემოში გამოავლინოს პირი, რომელიც შეასრულებს სამუშაოებს. მიმწოდეკომპანიას, რომელსაც უნდათ, რომ ხელშეკრულებები გაუფორმონ. თავადვე ადგენენ იმ ფასსაც, რა ფასადაც უნდათ შესყიდვა. ეს თავისთავად არის ძალიან დიდი ეჭვის საფუძველი, რომ ყველაფერი პირად ინტერესებსა და კორუფციულ გარიგებებზე მიუთითებს. საქმე გვაქვს მინიმუმ თანხების გაფლანგვასთან. გეტყვით კონკრეტულ მაგალითსაც. მე და ნიკა მელია ვიყავით ვანის ქუჩაზე, დიდუბეში, იქ საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს. რეალურად, იცვა, მაგრამ რა ხდება? 14 ნოემბერს გაუფორმდა ხელშეკრულება კომპანიას „ფორსმაჟორული" წესით გზის რეაბილიტაციაზე. ამ კომპანიას ჯამურად 1 მილიონ 800 000 ლარი ჩაერიცხა. ავანსად მიიღო 897 000 ლარი. ერთი თვის თავზე თითი-თითზე არაა დადებული, თუკი „ფორსმაჟორია" და ტენდერს ვერ ასწრებ, თან გინდა, კანონთან იყო მართალი, რატომ არ არის რამე გაკეთებული? იმიტომ, რომ არანაირ გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა ამ ფულის ბი არაკვალიფიციური იყოო. გააუქმეს ყველა ტენდერი და ახალი გამოაცხადეს. იმდენად სულელური პირობები ჩაწერეს, რომ ტენდერში მონაწილე კომპანია ვერ მოიძებნა, ჩავარდა ტენდერი. შემდეგ დადგნენ არჩევანის წინაშე, ან ტენდერი გამოეცხადებინათ და დეკემბერში დაეწყოთ საგზაო სამუშაოები, ან ერთ პირთან მოლაპარაკებით ნოემბერში გაეფორმებინათ ხელშეკრულებები. შეარჩიეს ერთი კომპანია, რომელიც მსხვილი სამშენებლო კომპანიაა, მა-

**— ბატონო ნუგზარ, ტენდერების გარეშე საგზაო სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვას რომ გასცემთ, ამოწმებთ, ეს სამუშაოები მერე რეალურად სრულდება თუ არა? საბიუჯეტო თანხები რამდენად სწორად იხარჯება?**

– სამუშაოები და ხარჯთაღრიცხვა უნდა იქნას წარმოდგენილი. მე როგორც სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი, როცა გეგმური შემოწმება იქნება... რა თქმა უნდა, მიდიან ჩემი რევიზორები ორგანიზაციაში. იქ ნახულობენ ხარჯთაღრიცხვებს. როცა ბარდება ობიექტი, ლაბორატორიის დასკვნაც უნდა არსებობდეს და სამხარაულის ბიუროს დასკვნაც. შესაბამისობაში უნდა იყოს ყველაფერი როგორც ტექნიკურ ნაწილში, ისე ფინანსურში. ჩვენ ვამოწმებთ ხელშეკრულებებს, ვალდებულებებს, რა თანხა უნდა მიიღოს. როცა იქნება მიღება-ჩაბარების აქტი, დოკუმენტების პაკეტი უნდა წარმოადგინონ და ამის შემდეგ მიიღებენ თანხას ისინი, ვისაც დაეკვეთა სამუშაოები.

**„ალია" კომენტარისთვის მერიის პრესცენტრის ხელმძღვანელს, მაგდა პოპიაშვილს დაუკავშირდა, გვაინტერესებდა, რატომ იზრდება მერიის თანამშრომლების რიცხვი 231 ერთეულით და რა მოიმოქმედეს იმ კომპანიის მიმართ, რომელმაც ავანსად 897 000 ლარი მიიღო და არაფერი გაუკეთებია. შეგვპირდა, გავარკვევ და პასუხს გეტყვითო, მაგრამ შემდეგ, აღარც თავად შეგვხმიანებია და აღარც ჩვენს ზარებს უპასუხა.**

ჟანა ასანიძე

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „რუსეთი არ არის ოკუპანტი, ჩვენ გვინდა საბჭოთა კავშირი!

არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა" აქცია გამართა.




აქციის მონაწილეებმა გზის მშენებლობის საფრთხეებზე ისაუბრეს და ხელისუფლებას მოუწოდეს, ქმედითი ნაბიჯები გადადგან, რათა დროულად მოხდეს გზის მშენებლობის პროცესის შეჩერება.

აქციის ჩაშლა სცადა ადგილობრივების ერთმა ნაწილმა. „რუსეთი არ არის ოკუპანტი, ჩვენ გვინდა რუსეთი და საბჭოთა კავშირი!" – ამ ლოზუნგით ისინი კონტრაქციის გამართვას შეეცადნენ. როგორც ალტერნატიული აქციის მონაწილეები ამბობენ, მათ რუსეთში ოჯახის წევრები და ნათესავები ჰყავთ, ამიტომაც რუსეთთან დამაკავშირებელი გზა მათთვის აუცილებელია.

აქციის ორგანიზატორის, მუხრან ბურჭულაძის განცხადებით, ამ ადამიანებს, ვისაც გაცნობიერებული არ აქვს გზის მშენებლობის საფრთხეები, ხელისუფლება ვალდებულია, განუმარტოს.

„ვერ გეტყვით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენს საპროტესტო აქციას რაციონალურად აპროტესტებდა. თუ მათ არ აქვთ გაცნობიერებული მომავლის საფრთხეები, ესეც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ბრალი და დანაშაულია. მათი ვალდებულებაა, რომ ინფორმირებულობის დონეზე აწიონ, მით უმეტეს საზღვრისპირა ტერიტორიაზე. ამ ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ არის რუსი, ეს თუ არ იციან, ეს არის ჩვენი მთავრობის დანაშაული. უნდა დაიგოს ავტობანები რუსული თანხებით, რომელიც პირდაპირ დაასამარებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და პირდაპირ მოხდება კახეთისა და ცხინვალის ათვისება. ადგილობრივ მოსახლეობას უნდა გავაგებინოთ, სად არიან ისინი დღეს და რა უნდა უნდოდეთ დღეს", – განაცხადა ბურჭულაძემ (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რა მოთხოვნები გააჟღერა საქართველომ ჟენევის მოლაპარაკებაზე

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ჟენევის მოლაპარაკებების 30-ე რაუნდი შეაჯამა.




დავით კერესელიძის თქმით, ორივე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, სოხუმსა და მოსკოვს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეფასდა როგორც აფხაზეთის ანექსიისკენ და საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, ასევე, ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ მოითხოვა უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმის შემუშავება და რუსეთის მხრიდან ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღება.

„საგანგებოდ გაესვა ხაზი კიდევ ერთ ვითარებას, კერძოდ, 5 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხინვალის რეგიონში დაწყებულ სამხედრო-საველე წვრთნებს, რომელშიც მონაწილეობდა ათასზე მეტი სამხედრო და ორასი ერთეული ტექნიკა, ასევე, გამოიყენებოდა ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე შეტევითი ხასიათის შეიარაღება და სანავიგაციო სისტემები". – განაცხადა კერესელიძემ. (ნიუპოსტი)

## „ცარიელი თავი დარჩი, ის ძველებური შარმი დაგაკარგვინა ამ უაზრო სიგამხდრემ“ — შორენა ბეგაშვილს



„ფეისბუკელებს“ ახალი სადარდებელი გაუჩნდათ. ამჯერად ეს შორენა ბეგაშვილის წონა გახლავთ. მსახიობმა და ტელეწამყვანმა „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ატვირთა ფოტო წარწერით, – „5 კგ და მარტო თმა დავრჩები“. სწორედ ამ ფოტოს მოჰყვა უამრავი კომენტარი. თაყვანისმცემლები შორენა ბეგაშვილის გახდომით უკმაყოფილონი არიან:

**Ucha San:** „გაასუქეთ ეს ქალი“...

**Emili Sakhokia:** „დადეთ რა შორენა ბეგაშვილის დიეტა“

**Ekaterina Elagina:** „ცარილ ძვალს ძაღლიც არ ეთამაშებაო, ხომ გაგიგია? არ გეწყინოს, მეტი არ გინდა გახდომა“.

**Nino Nino:** „არ გიხდება სიგამხდერეეე, გასუქდიი“

**Mariam Jgenti:** „შორენა ძალიან ხარ გამხდარი და არ გიხდება საშინლად. აღარაა ის ძველებური ეშხი და სილამაზე მეტისმეტი სიგამხდრით და ასაკს გმატებს ძალიან. 40 წლის ქალს ჰგავხარ. მოიმატე და იყავი ძველებურად ულამაზესი და ახალგაზრდული. ცარიელი თავი დარჩი. საშინლად არ გიხდება, ის ძველებური შარმი დაგაკარგვინა ამ უაზრო სიგამხდრემ“.

**Dani Joyce:** „არა ხვეული თმა არ გიხდება! შენი ბუნებრივი სწორი თმა გხატავს!“

**Mia Qiria:** „შენ ყველაფერი გიხდება, მაგრამ სიგამხდრე არა, ნუ დაემსგავსები ამ სტანდარტულ სკილეტებს...“

ამ უარყოფითი შეფასებების მიუხედავად ფოტოს რამდენიმე საათში 82 გაზიარება და 11 000 ნახვა აქვს.

*newposts.ge*

## მარიამ როინიშვილი საავადმყოფოში მოხვდა და ექიმების დახმარება ესაჭიროება



მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს, რომ მისი შვილი, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილე მარიამ როინიშვილი ცუდადაა.

– მაპატიეთ, მთელი დღე ვერ მოვახერხე შეგხმიანებოდით, რადგანაც ძალიან აღელვებული ვიყავი მარიამის გამო. უბრალოდ, გუშინ არ ჩავთვალე საჭიროდ ამის დაწერა. საქმე ისაა, რომ ერთი თვეა, იტკიებს მარჯვენა ფერდთან ერთ ადგილს, გაუსაძლისი ტკივილები აქვს და სულ გამაყუჩებელს სვამს.

ვეხვეწები, წამომყვეს ექიმთან, მაგრამ არ მომყვება. კვირას პროექტის ექიმმა ძალით წაიყვანა საავადმყოფოში. აღმოჩნდა, რომ გაბზარული ნეკნით დადიოდა, აღარ ვამბობ, რომ ცეკვავდა! ბოლო ოთხი ტურის განმავლობაში.

მალავდა, რომ არ გვეთქვა და პროექტი არ დაეტოვებინა. ნორმალურია ეს საქციელი?! გულშემოყრილი ვარ. შეხორცება დაწყებული აქვს, მაგრამ ტკივილი ძლიერია. გუშინ გამაყუჩებლებით და მოყინვით იცეკვა. ჩემი ასლია, ტკივილს ითმენს, – წერს ჭოხონელიძე.

*daijesti.pia.ge*

## ირაკლი ნოზაძე — „არ მინდა თქვან, ორჯერ არ გაუმართლაო და არასტაბილური ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო“



ამბობენ, ირაკლი ნოზაძის პირად ცხოვრებაში სიახლეაო.

მომღერალი ჯერ ამ თემაზე საუბარს გაურბის.

მის ანგარიშზე ორი ქორწინებაა. მეორე ქორწინებიდან პიკასოს ვაჟი ჰყავს.

ირაკლი ნოზაძე: გამონათებები არის, მაგრამ ამ თემასთან დაკავშირებით შეშინებული ვარ. ხმამაღლა რომ ვთქვა და ნაბიჯი გადავდგა, ამის მეშინია. დროს მივენდე. ვნახოთ, რა იქნება. არის სიახლე, მაგრამ სერიოზული არაფერი. სერიოზულ ურთიერთობას სერიოზული გამოცდების ჩაბარება სჭირდება. არ მეჩქარება. საქართველოში საზოგადოების აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს და ამას უყურადღებოდ ვერ დავტოვებ. არ მინდა თქვან, ერთხელ არ გაუმართლა, მეორედ არ გაუმართლაო და არასტაბილური ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო. ამას მტკივნეულად განვიცდი. წინა ორმა ქორწინებამ კარგი წუთები და შვილი დამიტოვა. შვილზე მაბოდებს.

*primetimenews*

## რა მიზეზით წავიდა ნანკა კალატოზიშვილი „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“?



მსახიობმა და ტელეწამყვანმა ნანკა კალატოზიშვილმა პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვა. მის ნაცვლად ამ კვირაში წამყვანად ანუკი ქორქია მოგვევლინა.

მეათე საკონკურსო ტურმა მსახიობის გარეშე ჩაიარა და მის წამყვანებს ნანკას არყოფნის გამო არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნანკა მუსიკისა და დრამის თეატრთან ერთად გასტროლზე ჩინეთის ქალაქ პეკინში გაფრინდა, სადაც მეექვსედ ტარდება საერთაშორისო თეატრალური ოლიმპიადა. მუსიკისა და დრამის თეატრი დავით დოიაშვილის მიერ დადგმულ „მაკბეტს“ ითამაშებს, სადაც ნანკა კალატოზიშვილი ლედი მაკბეტის როლს ასრულებს. მსახიობის პროექტიდან წასვლის მიზეზი კი სწორედ ეს გახდა.

*itv.ge*

## ნინამ შორენა ბეგაშვილი ლესბო-კლიპში გადაიღო

მომღერალი ნინა წკრიალაშვილი ყოველთვის გულახდილი რესპონდენტია. ტრადიცია არც „მძიმე კაცთან“ დაარღვია და წამყვანის უხერხულ კითხვებს ღიმილით უპასუხა.

კითხვას – სად უყურებს პირველად მამაკაცს, რომელიც მოეწონება, მომღერალმა უპასუხა, რომ თვალებში, რადგან მისთვის თვალებიდან მომავალი ენერგეტიკა ძალიან მნიშვნელოვანია და მისი მზერა უნდა წვავდეს.



მომდევნო კითხვაზე – უფლირტავია თუ არა ქალთან. მომღერალმა უპასუხა, რომ ჰეტეროსექსუალია. აქვე ისიც გაამხილა, რომ ცოტა ხნის წინ ლესბო-კლიპი გადაიღო, სადაც თამაში ძალიან გაუჭირდა და მაშინ საბოლოოდ დარწმუნდა თავის ორიენტაციაში.

კლიპის პრეზენტაცია ჯერ არ ყოფილა. ნინასთან ერთად კლიპში შორენა ბეგაშვილი ითამაშებს.

სოციალურ ქსელში უკვე გავრცელდა „პროფილში“ გადაღებული შორენასა და ნინას ფოტოები და, სავარაუდოდ ლესბო-კლიპის პრეზენტაციას სწორედ ამ გადაცემის საახალწლო პროექტის ფარგლებში ვიხილავთ.

*reitingi.ge*

## „ძლიერები ვართ — ბევრ ცდუნებასა და გამოწვევას გავუძელით“ — სოზარ სუბარის მეუღლის პოსტი



– აი, ასეთი წყვილი ვართ ჩვენ, – წერს სოზარ სუბარის მეუღლე თამთა ყუბანეიშვილი და „ფეისბუკის“ პირად გვერდზე შემდეგ სტატუსს აქვეყნებს.

თამთა ყუბანეიშვილი: „ქორწინების მეთორმეტე წელს მივაგორებთ. გუშინ საერთაშორისო ჯილდო მივიღეთ ადამიანის უფლებების დაცვისთვის, ჩემს წვლილსაც არ უარვყოფ ამ ჯილდოს დამსახურებაში, ცხადია. ძლიერები ვართ – ბევრ ცდუნებასა და გამოწვევას გავუძელით. ვიცით, რა მთავარ ღირებულებას არ უნდა ვუღალატოთ, რათა შენც ღირსეულად იცხოვრო და შენს ირგვლივ მყოფებმაც... სამი შვილი გვეზრდება, რომლებიც გვინდა რომ თავისუფალ და ჯანსაღ გარემოში გაიზარდონ. ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ ჩვენმა, თქვენმა და ყველას შვილებმა კიდევ უფრო უკეთეს გარემოში იცხოვრონ“!!!

*newposts.ge*

## გიგი უგულავას ქალიშვილი „ჩემი ცოლის დაქალებში“



სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ერთ-ერთ ეპიზოდში თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას ქალიშვილი გამოჩნდა.

ტასო უგულავა სერიალში ნატაშკას შვილის დაჩის თანაკლასელ გოგონას თამაშობს.

ფოტო სოციალურ ქსელში ჟურნალისტმა ნანუკა ჟორჟოლიანმა გაავრცელა.

*newposts.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## 5 ფაქტი სუნების შესახებ სექსუალურ ურთიერთობებში



ინტიმურ ურთიერთობებში ადამიანს ყნოსვის ორგანოები მნიშვნელოვნად მეტს აძლევს, ვიდრე ფანტაზიის გაღვიძება და სექსუალური აღგზნება. კერძოდ, ყნოსვის ორგანოები ადამიანს პარტნიორისა და გარე სამყაროს შესახებ უამრავ ინფორმაციას აწვდის.

ქვემოთ რამდენიმე მეცნიერულად შემოწმებული ძალიან საინტერესო ფაქტის შესახებ მოგიყვებით:

1. ქალებს სუნის დახმარებით შეუძლიათ, განსაზღვრონ, აღგზნებულია თუ არა მამაკაცი

ძალიანაც რომ მოინდომოთ, მამაკაცებო, ქალისთვის თქვენი სექსუალური აღგზნების დამალვა არცთუ იოლი საქმეა: ის ამას ქვეცნობიერად აუცილებლად იგრძნობს. სპეციალისტების განმარტებით, აღგზნებული მამაკაცის ოფლი განსხვავებული სუნის მქონეა და მისი გავლენით, ქალის ტვინში ის ნაწილები აქტიურდება, რომლებიც პასუხს ემპათიაზე აგებს, ანუ სხვა ადამიანების ემოციების აღქმაზე.



2. სუნით მამაკაცს პოტენციური დედის გამორჩევა შეუძლია

საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში ყნოსვა საკმაოდ დიდ როლს თამაშობს მამაკაცების შემთხვევაშიც. კერძოდ, ქალის სუნი ოვულაციის პერიოდში, როცა მისი ორგანიზმი დაფეხმძიმებისთვისაა მზად, მამაკაცის მიერ ბევრად სასიამოვნოდ აღიქმება, ვიდრე იმ ქალების სუნი, რომლებიც შვილის გაჩენისთვის მზად არ არიან.

3. სუნით ადამიანი ხვდება, შეესაბამება თუ არა სექსუალური პარტნიორი

თუკი ძლიერი სქესის წარმომადგენელს დააყნოსვინებთ მაისურებს, რომლებიც ეცვათ ჰეტეროსექსუალ და ჰომოსექსუალ მამაკაცებსა და ქალებს, ტრადიციული ორიენტაციის მქონე მამაკაცი ქალის მაისურს ბევრად სასიამოვნოდ მიიღებს. ანალოგიურად ხდება ჰომოსექსუალი მამაკაცების შემთხვევაშიც – ისინი უფრო მიმზიდველად გეის მაისურს აღიქვამენ. იგივე უნარი აქვთ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებსაც.

4. ქალი სუნით დაადგენს, რამდენად სექსუალურია მამაკაცი



გაგონილი გექნებათ მოსაზრება, რომ ადამიანის სახის სიმეტრია მისი მიმზიდველობის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა ამ მხრივ არანაკლები დატვირთვა აქვს სუნსაც.

ექსპერიმენტების დროს, ქალებმა, რომლებმაც ძლიერი სქესის წარმომადგენელთა მაისურებს დაყნოსეს, სიმეტრიული სახის მქონე მამაკაცების გამორჩევა თითქმის უპრობლემოდ შეძლეს. რაც მთავარია, კვლევის მონაწილეებს ერთმანეთი ერთხელაც კი არ ჰყავდათ ნანახი.

გამოდის, რომ სექსუალურ ადამიანებს სუნიც სექსუალური აქვთ.

5. სუნის მიხედვით შეიძლება დადგინდეს, რამდენად ჯანმრთელი იქნება ბავშვი

სექსუალურ პარტნიორს ადამიანები ხშირად ქვეცნობიერად იმის საფუძველზე ირჩევენ, რამდენად ჰგავს ერთმანეთს საკუთარი და ინტერესის ობიექტის ჰისტოშესაბამისობის კომპლექსები (მოლეკულები ორგანიზმში, რომლებიც ბაქტერიებისა და ვირუსების მიმართ წინააღმდეგობის გაწევაზე აგებენ პასუხს). იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორის მაჩვენებლები ძლიერია, ეს იმას ნიშნავს, რომ წყვილის შვილებს შესანიშნავი იმუნიტეტი ექნებათ.

***incognet.com***

## ელექტროენერგიას „ნამდვილი მეგობარი“ ჰყოლია



სერბეთის მოქალაქე სლავისა პაიკიჩი უკეთ ცნობილია „ადამიანი-ელემენტის“ მეტსახელით, რომელიც მას საკვირველი უნარის გამო შეურჩიეს.

ელექტროენერგიის მსოფლიოში ერთადერთი მეგობარი მაღალ ძაბვას წარმატებითა და ყოველგვარი პრობლემის გარეშე უმკლავდება.

ბიბა, როგორც „ადამიან-ელემენტს“ ახლობლები ეძახიან, ამტკიცებს, რომ ელექტრობას, მის გარდა, სხვა მეგობარი არ ჰყავს.

ცნობილია, რომ თავისი უნიკალური შესაძლებლობები სერბეთის მოქალაქემ 17 წლის ასაკში აღმოაჩინა და მას შემდეგ ელექტროენერგია ბიბას ყველაზე ახლო მეგობარი გახდა.

საერთოდ, 50 ვოლტზე მეტს ადამიანის დაზიანება, მისთვის სასიკვდილო დამწვრობის მიყენება და გულის გაჩერება შეუძლია. რაც შეეხება ბიბას, ის გაცილებით მაღალ ძაბვას უძლებს. კერძოდ, როგორც ამბობენ, სერბ მამაკაცს 20 ათასი ვოლტისთვის გაუძლია. გარდა ამისა, შეძლო ცელსიუსით 97 გრადუსამდე აედუღებინა ჭიქა წყალი 1 წუთსა და 37 წამში. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიბა არის როგორც გამტარი, ისე შემკავებელი და აკუმულატორიც კი.

***top.rbc.ru***

## ერთი ბანკი, ერთი თანამშრომელი



თანამედროვე საბანკო საქმეში მასშტაბური ორგანიზაციები მძლავრობს, რომლებისთვისაც მრავალმილიონიანი ტრანზაქციები ერთი დღის ჩვეულებრივი მოვლენაა. აი, რაც შეეხება გერმანიის სოფელ ჰამესფელდს, მსგავსი რამ იქ არავის გაუგია.

მართალია, სოფელს საკუთარი ბანკი აქვს, მაგრამ ის მთელი მსოფლიოს მონათესავე ორგანიზაციებისგან რადიკალურად განსხვავდება.

ცნობილია, რომ ბანკს ვინმე პეტერ ბრაიტერი უდგას სათავეში, რომელიც „სამ ტანცუეტ, სამ პაიოტ, სამ ბილეტი პროდაიოტ“, ანუ ის ბანკის მენეჯერიცაა, ოპერატორიც, მოლარეც და დამლაგებელიც.

პეტერისთვის უცხოა მრავალმილიონიანი შეთანხმებები, მარტო ემსახურება მშობლიური სოფლის მოსახლეობას და კარგად იცის თითოეული კლიენტის გვარ-სახელი.

საინტერესოა, რომ 2009 წლამდე ჰამესფელდის ბანკს კომპიუტერიც კი არ ჰქონია და ყველა ჩანაწერი და ოპერაცია კალკულატორისა და საბეჭდი მანქანის მეშვეობით ხორციელდებოდა.

სხვათა შორის, ბანკი ჯერ კიდევ 1890 წელს დაარსდა და დღემდე, ფაქტობრივად, შეფერხებების გარეშე მუშაობს.

ბანკის წლიური შემოსავალი 40 ათასი ევროა, ხოლო არსებობის ისტორიაში ყველაზე მსხვილი კრედიტი დაახლოებით 650 ათასი ევრო იყო.

***mainfun.ru***

## ძაღლმა პატრონს მილიონი დოლარი მოაგებინა




გასაოცარი რამ მოხდა აიდაჰოს შტატში – ძაღლმა თავის პატრონსა და მის მეგობრებს ლატარიაში მილიონი დოლარი მოაგებინა. ძაღლს სახელად სტელა ჰქვია და როგორც მისი პატრონი სტივ ჰიუზი ამბობს, ლატარიის ბილეთის შეძენა სწორედ ოთხფეხა მეგობარმა აიძულა.

იღბლიანი ამერიკელი ყვება, რომ ლატარიის ბილეთის შეძენას სულ სხვა მაღაზიაში აპირებდა, მაგრამ იძულებული გახდა, ის ბენზინგასამართ სადგურზე ეყიდა, რადგან ისე მოხდა, რომ ძაღლმა ავტომობილის კარი შიგნიდან ჩაკეტა.

მთელი 45 წუთი ცდილობდა სტივ ჰიუზი, ძაღლი როგორმე მიეხვედრებინა, როგორ იღება კარი. ბოლოს მამაკაცი დაიღალა და განერვიულებულმა დასამშვიდებლად ლატარიის ბილეთი იყიდა. როცა მანქანას მიუბრუნდა, კარი უკვე ღია დახვდა.

– რომ არა სტელას ცუღლუტობა და ავტომობილის ბლოკირება, იღბლიან ბილეთს უბრალოდ, ვერ ვიყიდდი, – ამბობს ძალიან ბედნიერი და იღბლიანი სტივ ჰიუზი.

***positime.ru***

## გულის დაავადებების სამკურნალოდ ყველის სპეციალური სახეობა გამოიყვანეს



შესაძლოა, ვინმეს სასაცილოდაც კი მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ სამკურნალო თვისებების მქონე ყველი გამოიყვანეს არგენტინელმა მეცნიერებმა, რომელსაც შეუძლია სისხლძარღვებისა და გულის დაავადებების გაჩენის რისკი მნიშვნელოვნად შეამციროს.

ახალი სახეობის არგენტინული ყველი ტრადიციული ინგრედიენტებით თითქმის არაფრით განსხვავდება თავისი „წინაპრებისგან“, თუმცა ის მიღებულია ძროხების რძისგან, რომლებიც იკვებებიან სპეციალური დანამატებით, რაც, თავის მხრივ, პროდუქტის ცხიამიანობის შემცირებას განაპირობებს.

ასე და ამგვარად, ახალი სახეობის არგენტინულ ყველში სისხლძარღვთა სისტემისთვის სახიფათო მჟავების მინიმალურ რაოდენობას შეხვდებით.

ყველის შემქმნელთა მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანები ყოველდღიურ რაციონში მათ პროდუქტს ჩართავენ, შედეგად სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირებას მიიღებენ, რაც არაერთი პრობლემის თავიდან აცილების გარანტორია, მათ შორის, ცხადია, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისაც.

***perfectlady.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



პატარა ბავშვმა მამასთან მიირბინა:

– მამიკო! მამიკო! ბებომ მიკბინააა...

მამას გაზეთისთვის თვალი არ მოუშორებია:

– მერე, შე სულელო, ვინ გითხრა, გალიაში ხელი შეგეყო?!

*****

– სანამ აბაზანაში წვერს ვიპარსავდი, ცოლმა რაღაც მკითხა, მერე კითხვას პასუხი თავადვე გასცა, თავადვე იჩხუბა, სკანდალი მოაწყო – ვანიდან გამოსული უკვე განქორწინებული ვიყავი...

*****

კოტე ძმაკაცს უყვება:

– წუხელ ქუჩაში ბაყაყი ვიპოვე. შემეცოდა, ჩავისვი ჯიბეში, სახლში მივიყვანე და რომ დავწექი, ჩემს ბალიშზე დავაწვინე. დილით გავიღვიძე და ვხედავ – გვერდზე მაგარი ქალი მიწევს!.. გჯერა ჩემი?

– რა თქმა უნდა!

– აი, ცოლს კი არ სჯერა...

*****

– ვინ გაგლახა ასე უღმერთოდ?

– გუშინ ძმაკაცი ჩამოვიდა საქორწილო მოგზაურობიდან.

– მერე?

– მე დავარწმუნე, რომ ცოლი უნდა მოეყვანა...

*****

– დაბრძანდით, ხუთი!

– იქნებ სამით შემოვიფარგლოთ?

– არავითარ შემთხვევაში, მხოლოდ ხუთი!

– ოთხი მაინც...

– მოკლედ, ხუთი ბოთლი „ჰენესი“ და ჩათვლას დაგიწერ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეგიძლია, სამხედრო კომისარიატს დაუკავშირდე!..

*****



– ყველაფერი დაიკარგა! ყველაფერი დაიკარგა!

– რა მოხდა?

– ყველაფერი დაიკარგა!

– რა მოხდა-თქო?!

– ბერმუდის ტრუსები ვიყიდე გუშინ...

– მერე?

– ყველაფერი დაიკარგა! ყველაფერი დაიკარგა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ნანული სარაჯიშვილი ფილმში
2. ბიზნესმენი, რომელმაც დააზარია პოეზიის სასახლე და არქიტექტორი შეიწირა
3. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
4. მევიოლინე ვანესა ...
5. მითიური არსება: ლომი ადამიანის თავით
6. ტროპიკული ნაყოფი
7. მუსიკალური ნაწარმოები ხალხურ თემაზე
8. კავშირებითი სიტყვა
9. უცხოელი დამპყრობელი
10. დამპალი ქათმებით მოვაჭრე სუპერმარკეტების ქსელი
11. ერთგვარი პეპელა
12. ზონარზე ასხმული მძივები
13. აკვიატება: ...-ფიქსი
14. მხატვარი ... შაგალი
15. სახელმწიფო ევროპაში
16. ცხენების სადგომი
17. ციხესიმაგრე პარიზში
18. მწერი
19. დონ კიხოტ ...
20. საფრანგეთის იმპერატორი
21. ბაგე
22. ქართული სათვისტომო პარიზთან
23. ფეთქებადი ნივთიერება
24. მან ააღორძინა ოლიმპ. თამაშები
25. ქალაქი ლატვიაში
26. ვირას საპირისპირო ბრძანება
27. ხე ჰყვავს წვენი
28. სამეჯლისო ცეკვა
29. ქართული ხალხური თამაშობა ქამრებით
30. უდაბნო აფრიკაში
31. წლოვანება
32. მტაცებელი თევზი
33. მსახიობი ... შენგელაია
34. პროვინცია კანადაში
35. მსახიობი დონატას ...
36. ფრინველის ბუმბულის ცვლა
37. თათარაში ამოვლებული ნიგვზები
38. გერმანიის დედაქალაქი
39. ერნესტო ... გევარა
40. ფულის ერთეული კუბაზე
41. „იმეროული ესკიზები“ მათხოვარი
42. მდინარე აღმ. საქართ.
43. ბუნების მეტყველი, ანუ ...
44. მსახიობი ... ისტვუდი
45. მსახიობი ... დელონი
46. სავადმყოფოს ოთახი
47. ფრინველის სამყვდევი
48. მდინარე აფრიკაში
49. ტყის ფრინველი
50. ქალაქის მუნიციპალიტეტი
51. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
52. სამკურნალო მცენარე
53. პროვინცია ესპანეთში
54. კონტინენტი
55. ჟურნალისტი ... ჟორჟოლიანი
56. ლეო ქიაჩელი „... აბბა“
57. მომღერალი ... მჟავია
58. ბოსტნეული
59. ხელოვანთა მფარველი
60. მრგვალი მაგიდა და მეფე ...
61. ხუმარა, მასხარა
62. პოეტი ... მაიაკოვსკი
63. მსახ. ... სილვერსტოუნი
64. სინონიმი, ანტონიმი და ...
65. ბედი
66. ქართ. სუფრის ხელმძღვანელი
67. ბულგარეთის დედაქალაქი
68. სომხეთის ძველი დედაქალაქი
69. მისი დედაქალაქია ტალინი
70. „ეზოში ... ძაღლია“
71. ვიოლინოს წინამორბედი
72. უძველესი ასურეთის დედაქალაქი
73. გოგოლის მოთხრობა
74. ექს-პრეზიდენტი ჰარი ...
75. ქიმიური ელემენტი
76. მომღერალი პერი ...
77. მსახიობი ... დიტრიხი
78. მინის საგანი, ირეკლავს გამოსახულებას
79. მწვანე ძვირფასი ქვა
80. მექანიზმი, რომელიც მუსიკალური ნაწარმოების ტემპს განსაზღვრავს
81. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
82. ფილოსოფოსი ემანუილ ...
83. სოფელი საგარეჯოს რაიონში
84. მსახიობი ... დეიმონი
85. ფეხსაცმელების მკერავი
86. დავით ნარინი და დავით ...
87. პატარა ტანის მტაცებ. ცხოველი
88. გამოუწვავი აგური
89. მსახიობი მაკოლეი ...
90. პოლიტიკური სლოგანი
91. გლაზგოს საფეხბ. კლუბი
92. ფოლადის სადნობი ღუმელი
93. სამართლიანობის ქალღმერთი
94. ... ჩიბურდანიძე
95. რეჟისორი ... მჭედლიძე
96. ტაძარი ქუთაისში
97. სპორტის ზამთრის სახეობა
98. ქართ. საესტრადო ანსამბლი
99. ქართ. ანბანის ბოლო ასო
100. პატარა ფლეიტა
101. მაფია ...-ნოსტრა
102. თევზის ქვირითი
103. რისი ორგანოა ყური
104. ძველი რომაელი პოეტი
105. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
106. არითმეტიკული სავარჯიშო
107. ტყის ფრინველი
108. მამალი ღორი
109. რეჟისორი ლევან ...
110. ტანსაცმლის მოდური მაღაზია
111. ცხენებშებმული ტრანსპორტი
112. ნაცია
113. ტბა აფხაზეთში
114. მწერალი ... კიზი
115. სამშენებლო მასალა
116. მდინარე საფრანგეთში
117. ზამთრის ხილი
117ა. კლდიაშვილი. „... ბედნიერება“
118. მსახიობი ანუკ ...
119. პომიდვრის სანებელი
120. მოკლე, მსხვილი თითები
121. ნიშნავს ცივს
122. ჩეხური გამათბობლის ფირმა
123. მსახიობი ... ფაროუ
124. ნიშნავს საწინააღმდეგოს
125. მსახიობი ... კრუზი
126. ხელოვნური ენა
127. „რვაფეხა“ ... კატანი
128. ოფისი, ანუ ...
129. სასახლე
130. ტყავი, ანუ ...
131. თვალის ფერადი გარსის ანთება
132. იტალიელი კომპოზიტორი
133. რაიმეს შესრულების პირობა
133. ხელოვნების გამორჩეული მოღვაწე
134. მოდელი ... კასტა
136. თმის წითელი საღებავი
137. რეჟისორი ... ბრასი
138. „... კარენინა“
139. პოეტი ... მირცხულავა
140. წარწერა კადრის ქვეშ
141. პულსის ადგილი ხელზე
142. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge









1. მხ/ფ „... შვიდეული"
2. თხევადი ცხიმი, მაგ., თევზის
3. მდინარე აფხაზეთში
4. ბილიარდის ჯოხი
5. კალიფორნიის შტატის გუბერნატორი
6. ჩანჩქერი აშშ-ში
7. მთა. დასაჯეს ქრისტე
8. მჭადის ფქვილით შეზელილი ბადაგი
9. ქვირითიდან გამოსული ბაყაყი
10. ქვეყნის მკვიდრი მოსახლე
11. შაქარში ათქვეფილი კვერცხი
12. მსახიობი ... უიზერსპუნი
13. მტაცებელი თევზი ოკეანეში
14. ტელევიზორის კინესკოპი
15. პოეტი იოსებ ...
16. ჯუჯა კამეჩი
17. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
18. ჩოგბურთელი ანდრე ...
19. ხუთკაციანი ანსამბლი
20. ქალაქი საფრანგეთში
21. მათემატიკის ნაწილი
22. მსახიობი ელიზაბეტ ...
23. მისი დედაქალაქია ჰანოი
24. რაში დებენ პლომბს
25. წყლის ძუძუმწოვარი
26. ჩინეთის დედაქალაქი
27. პატარა გლისერი
28. პიესა „რევიზორის" ავტორი
29. ბეთჰოვენი. „მთვარის ..."
30. მუხის ნაყოფი
31. ჭადრაკის ფიგურა
32. მდინარე საფრანგეთში
33. მომღერალი ... კრავიცი
34. ხეობა შიდა ქართლში
35. მომღერალი ეკა ...
36. გამადიდებელი ხელსაწყო
37. იტალიის დედაქალაქი
38. დარტყმით ამოტვრცული ადგილი
39. მოხარშული ღორის ფეხები ძმარში
40. ერთგვარი შავი ლუდი
41. მსახიობი ... რივზი
42. ღილები, მაფები, ლენტები და სხვა
43. კურსკის მაგნიტური ...
44. გიორგი სააკაძის სოფელი
45. კომპოზიტორი მიქაელ ...
46. მსახიობი ... იოვოვიჩი
47. მსახიობი ... არქმანე
48. მეცნიერება ვარსკვლავებზე
49. სამკურნალო მცენარე
50. მობი დიკი: თეთრი ...
51. დიკენსი „ნიკოლას ..."
52. უკუღმა, ანუ ...
53. დაბა ...-გრუზინსკაია
54. მეკარე ლევ ...
55. „ხევის ბერი გოჩა" მწერალი
56. მუზეუმი სანკტ-პეტერბურგში
57. ჩვილის სიტყვა
58. ორლეანელი ქალწული ... დ'არკი
59. ნორვეგიის დედაქალაქი
60. ბულგარული არაყი
61. გაზქურის საცხობი
62. გამომძიებელი, ანუ ...
63. პირველი კოსმონავტი
64. ერთგვარი ქუდი
65. მსახიობი ... რიჩარდსონი
66. ... პლისეცკაია
67. ნიანგის სახეობა
68. იჯარა
69. ერთ-ერთი ჯიშის ბოცვერი
70. ოდისევსის ვაჟი (პოემიდან)
71. ხრიკი, ფანდი
72. მატადორი, იგივე ...
73. რუსეთის დედაქალაქი
74. ოსური ცეკვა
75. ყურძენი იზაბელა, ანუ ...
76. წერტილოვანი პიგმენტი კანზე
77. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში
78. ნიშნავს ცივს
79. შტატი აშშ-ში
80. კომიკოსები: პატი და ...
81. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
82. მღვდელმთავარი (ძვ.)
83. ზღვა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს შორის
84. სავსე მთვარის ეპითეტი
85. დურბინდი
86. ქალაქი ნიდერლანდში
87. ორიდან ერთის არჩევანი
88. მარცვლოვანი მცენარე
89. აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი ... ალიევი
90. ძვირფასი ქვა
91. ზამთრის სპორტის სახეობა
92. გულმკერდის ძვალი
93. მოდუღებული ტყემლის წვენი
94. კუ, ჰქონდა ოქროს გასაღები
95. იაპონიის დედაქალაქი
96. „გაზაფხული შემოსულა ..."
97. გამოუწვავი აგური
98. დადებითი ელექტროდი
99. განგაშის სიგნალი
100. ადამიანი ხარის თავით (მით.)
101. ჭიდან წყლის ამოსაღები ძელი
102. ქოქოსის გული
103. ხარებთან ბრძოლა
104. პარლამენტის თავმჯდომარე
105. ესკიმოსების ნავი
106. მეტყველების ორგანო
107. სპორტის სახეობა
108. მწერალი ჟიულ ...
109. ებრაული ენა
110. ერთთვალა გოლიათი ბერძ.მით.
111. მხ/ფ „... ჭაბუკი"
112. იუპიტერის თანამგზავრი
113. წამლების მაღაზია
114. ცური
115. მსახიობი ანდრეი ...
116. ერთნახადი არაყი
117. უდაბნო სამხ. აფრიკაში
118. რბილი სასის გაგრძელება
119. მომღერალი ... ბელაფონტე
120. სხივი. ჭრის ლითონს
121. ტბა კანადაში
122. მოყავისფრო ჭრელი
123. ბიზეს ოპერა
124. ექს-პრეზიდენტი ბილ ...
125. ტილის კვერცხი
126. ჭრილობა
127. ქალაქი გამოქვაბული (საქართ.)
128. მსხვერპლად შესაწირავი
129. მსახიობი ... კერტისი
130. შოტლანდიური ნაგაზი
131. ჯადოქრობა
132. ოსტატების გაერთიანება
133. ბულგარელი ნათელმხილველი
134. შოლოხოვი. „წყნარი ..."
135. ხალხის მწკრივი დახლთან
136. მსახიობი ... ფარულავა
137. ჭური
138. მომღერალი ... კალასი
139. ტარიელი, ავთანდილი და ...
140. ალკოჰოლური სითხე
141. მსახიობი სტივენ ...
142. მოკრივე მუჰამედ ...

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი

**გურამ გვასალია**



საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი, კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის საქართველოს ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ქირურგიული სამსახურის უფროსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გურამ გვასალია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## კოსმოსში გასულ ასტრონავტებს გარე სამყაროს არსებობის აღარ სჯერათ?



შესაძლოა, კოსმონავტობა ერთ-ერთი ყველაზე საოცნებო პროფესია იყოს, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობა მის შესახებ არცთუ კარგადაა ინფორმირებული.

იმის გამო, რომ კოსმონავტები იძულებულები არიან, დროის უმეტესი ნაწილი სახლიდან შორს, სრულ იზოლაციაში გაატარონ, ძალიან ხშირია ფსიქოლოგიური დარღვევები. მათ შორის, ჩნდება ხოლმე საკმაოდ იშვიათი და უცნაური აშლილობაც, სახელწოდებით სოლიფსიზმი. ეს არის მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი ფიქრობს, რომ მის გარშემო სამყარო რეალური არ არის.

სოლიფსიზმისთვის დამახასიათებელია გულგრილობა, განდგომილება და მარტოობისკენ მიდრეკილება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სოლიფსიზმი არა იმდენად დაავადებაა, როგორც სამყაროს აღქმის მეთოდი. ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ასოციაციები მას სრულფასოვან აშლილობად არ აღიარებენ.

*topsy.com*

## ავსტრალიაში ტორტებზე სანთლების ჩაქრობას აკრძალავენ

მართლაც ძალიან უცნაური იდეა გაუჩნდათ ავსტრალიელ მედიკოსებს – იუბილარებისთვის ტორტებზე სანთლების სულის შებერვით ჩაქრობის აკრძალვა.



როგორც ირკვევა, ასეთი აკრძალვით მათ სურთ, მიკრობების გავრცელებას შეეწინააღმდეგონ.

იქაური მედიის ინფორმაციით, ინიციატივა ჯანმრთელობისა და სამედიცინო კვლევების ეროვნულ საბჭოს ეკუთვნის, თუმცა რიგითი მოქალაქეები ამ სიახლემ, რა თქმა უნდა, სულაც არ აღაფრთოვანა.

კარგით, უფროსები როგორმე გადაიტანენ ამ ყველაფერს და ტორტზე სანთლის ჩაქრობის გამო არ ინერვიულებენ, მაგრამ, როგორ გინდა, პატარებს აუხსნა, იუბილარი კი ხარ, მაგრამ სანთელს რომ უბერავ, მიკრობებს ავრცელებ ჰაერშიო?

ასეა თუ ისე, ინიციატივა გაჩნდა და არ არის გამორიცხული, ავსტრალიელებს ეს უცნაური აკრძალვა მართლაც დაუწესონ.

*vesti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**12 დეკემბერი:** საკუთარ თავზე იმაზე მეტ ტვირთს იღებთ, ვიდრე ზიდვა შეგიძლიათ. როდესაც ნანატრი შესვენების მომენტი დადგება, დაფიქრდით, ღირს ასე გაგრძელება?

**კურო 22.04-21.05**

**12 დეკემბერი:** დღეს ნებისმიერ კოლექტივთან შეძლებთ საერთო ენის გამონახვას. თუმცა, რაიმე ღონისძიების ინიციატორი, დიდი მცდელობების მიუხედავად, ვერ გახდებით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**12 დეკემბერი:** სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი სფეროს კარს შეაღებთ. ასე რომ, თუ ვინმეს მოჯადოება გსურთ, ეს დღე საამისოდ ზედგამოჭრილია.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**12 დეკემბერი:** ყველანაირად ეცადეთ, რომ გრძნობებს არ აჰყვეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმდენ შეცდომას დაუშვებთ, რომ სანანებელი გაგიხდებათ.

**ლომი 23.07-22.08**

**12 დეკემბერი:** ძლიერმა გრძნობებმა შეიძლება გონება დაგიბინდოთ. ყველაფერს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

**ქალწული 23.08-22.09**

**12 დეკემბერი:** პროფესიული კუთხით მაქსიმალური გააქტიურება გმართებთ, ოღონდ შეეცადეთ, ძალიან არ გადაიტვირთოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**12 დეკემბერი:** ბევრი შრომა მოგიწევთ. უმეტესი დრო შეიძლება საოჯახო საქმეებმა დაიკავოს. თუ ყველაფერს ვერ ასწრებთ, აქცენტი მთავარი საქმეების მოგვარებაზე გააკეთეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**12 დეკემბერი:** თუ სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება გსურთ, მოერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენს კეთილგანწყობას ბოროტად იყენებს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**12 დეკემბერი:** სამწუხაროდ, შეიძლება თქვენთვის მნიშვნელოვანი საქმის გადადება მხოლოდ იმის გამო მოგიწიოთ, რომ ვიღაცის პრობლემის მოგვარებაში ჩაერთოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**12 დეკემბერი:** ეს დღე თქვენთვის და გარშემომყოფთათვის ნამდვილი გამოცდა იქნება. შეიძლება მრავალფეროვანი და ძლიერი გრძნობების გადატანა მოგიწიოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**12 დეკემბერი:** ეს დღე თქვენთვის ძვირფას ადამიანებს დაუთმეთ. ისინი ისედაც იმსახურებენ თქვენს ყურადღებას, მაგრამ ეს დღე გამორჩეული იქნება.

**თევზები 19.02-20.03**

**12 დეკემბერი:** თუ დღეს აქტიურ მოქმედებებს აპირებთ, შეეცადეთ, ყველაფერს პასუხისმგებლობით მიუდგეთ, შეიძლება შეცდომები დაუშვათ.

## მრავალფეხა — ყველაზე სასარგებლო მწერი ჩვენს სახლებში



უიიი, ამ მწერის გამოჩენას ამბავი მოჰყვება ხოლმე ზოგ ოჯახში, მტრისას და ავისას – იწყება წივილ-კივილი, აქეთ-იქით სირბილი, ყველაზე მამაცი კი საშინელი შესახედაობის არსებას კედელსა თუ იატაკზე ჩუსტით მიასრესს ხოლმე. ოჰ, რა შეუბრალებლები ვართ ხოლმე ხანდახან?!

ისე, თუ იცით, რომ ეს ერთი შეხედვით ძალიან საზიზღარი და ამაზრზენი არსება ყველაზე უფრო მეტად სასურველი და სარგებლის მომტანია იმ მწერებს შორის, რომლებიც ჩვენს სახლებში ჩნდებიან? ჰოდა, თუ არ იცოდით, ამიერიდან გექნებათ ასეთი ინფორმაციაც.

საქმე ისაა, რომ, ჩვეულებრივ, მრავალფეხას რაციონი სხვა მწერებისგან შედგება, მათ შორის, ტარაკნებისგან, ბუზებისგან, ჩრჩილებისგან, ნესტის ჭიებისგან და მოკლედ, ყველა პარაზიტისგან, რომლებიც ჩვენს სახლებში ბუდობენ.

რაც ყველაზე მთავარია, მრავალფეხა ადამიანს არანაირ ზიანს არ აყენებს. მწერების გარდა, ის ჭამს ისეთ მცენარეს, რომელიც დაავადების გადამტანია ან სახლს რაიმე სახის საფრთხეს უქადის.

სპეციალისტების თქმით, მრავალფეხას მიზანია, სახლების გასუფთავება და დაცვა ნებისმიერი მწერისგან და მავნებლისგან.

მოკლედ, როცა მრავალფეხას საკუთარ სახლში დაინახავთ, ნუ იჩქარებთ მის გასრესას და მიეცით უფლება, მშვიდად გააგრძელოს ცოცვა, რადგან შესაძლოა, მან ძალიან ბევრი პრობლემა მოგიგვაროთ.

*hozna.ru*

## თავზე ჩამოსაცმელი რგოლი შაკიკს 20 წუთში დაამარცხებს




სტატისტიკის თანახმად, შაკიკი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნევროლოგიური დაავადებაა და მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს უდიდესი წარმატებით წამლავს.

სულ ცოტა ხნის წინ ბელგიაში შეიქმნა მოწყობილობა, რომელიც, როგორც ამბობენ, ამ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ უსიამოვნებას ადვილად გაუმკლავდება. რა თქმა უნდა, მის სრულ განკურნებაზე საუბარი არ არის, თუმცა სიახლის ავტორთა თქმით, თავზე ჩამოსაცმელი რგოლი შაკიკის შეტევას მაქსიმუმ 20 წუთში შეაჩერებს.

ცნობილია, რომ ბელგიელების მიერ შექმნილი ელექტრო იმპულსებს გამოყოფს, რომელიც თვალისზედა ნერვისკენ მიიმართება, რომელიც პასუხს აგებს უშუალოდ თვალებისა და მისი მიდამოების შეგრძნებებზე.

მოწყობილობა წარმატებით გამოიცადა 67 მოხალისეზე, რომლებიც რგოლით 3 თვე სარგებლობდნენ. შედეგად დადგინდა, რომ მის მომხმარებლებს შაკიკის შეტევა 30 პროცენტით იშვიათად ემართებოდათ, გარდა ამისა, ტკივილი უფრო მალე უყუჩდებოდათ.

როგორც ამბობენ, ბელგიელების მიერ შექმნილ შაკიკის საწინააღმდეგო რგოლს გვერდითი შედეგები არ აქვს. მისი ფასი 260 ფუნტი სტერლინგია.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მასწავლებელი მოსწავლეს:

– კოტე, გუშინ სკოლაში რატომ არ იყავი?

– ბაბუა გარდამეცვალა, მასწავლელო, და იმიტომ.

– ნუ იტყუები! გუშინ დავინახე, ბაბუაშენი ფანჯრიდან იყურებოდა.

– ჰო, მასწ. – მამაჩემმა დააყენა, გუშინ პენსიის დღე ჰქონდა და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ≫ 21135945 7 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
**გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაძვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს **კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალიბაძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.35